ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული თავისუფლების გზით – პიროვნული თავისუფლებისაკენ
პიროვნული თავისუფლების გზით – ეროვნული თავისუფლებისაკენ

# საქართველო

30 თეთრი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი. გამოდის ყოველ მეორე შაბათს. №12 (1800) 17-30 ივნისი 2003

## ფრთხილი ექვი – დღეს თითქმის რეალობა

მე-3 გვ.



## სამხედრო დახმარება კერძო კომპანიის ინტერესებში

მე-4 გვ.

საქართველოში „გაზპრომის" კუთვნილი გაზსადენის რუსეთიდან თურქეთში გატარების გეგმამ აქტუალური გახადა მუდამ დისკუსიის პროცესში მყოფი და ვერასოდეს საბოლოოდ ვერგადაწყვეტილი საკითხი იმის თაობაზე, თუ რა უფლება არსებობს და რა ალბათობა არსებობს იმისა, რომ დიდმა ქვეყანამ შეიარაღებული ძალით დახმარება აღმოუჩინოს თავის კერძო ფირმათა და კორპორაციათა საქმიანობას სხვა ქვეყნებში, სადაც მისი ეკონომიკური კომუნიკაციები გადის ან სხვა რამ კანონიერი ეკონომიკური ინტერესები დევს. მკითხველს გავაცნობთ (შემოკლებით) უკვე ძველ მასალას ამერიკელების ერთ-ერთ უკანასკნელ ამგვარ ოპერაციაზე...

## ექვსი ანალოგია იუგოსლავიასა და საქართველოს შორის




მე-3 გვ.

მეშვიდე ანალოგიისგან ღმერთმა დაგვიფაროს

## აშშ-ს შეიარაღებული ძალები და საქართველო

მე-5 გვ.



## ირანის ერთადერთი მაღაზია ქალებისთვის

მე-4 გვ.

## რას ინახავს საიდუმლოდ ქუთაისის მერი?

მე-5 გვ.




## საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე სამარცხვინო დოკუმენტი

ვაქვეყნებთ დსთ-ში შესვლის მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა სიას

## საქართველოს პარლამენტის 1994 წლის 1 მარტის სხდომის ოქმი

მე-2 გვ.

## როგორ შეგვათრიეს «ესენგეში»?!

# საქართველოს პარლამენტის 1994 წლის 1 მარტის სხდომის ოქმი

## საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე სამარცხვინო დოკუმენტი

გაგრძელება. დასაწყისი „საქართველო" №1,2,3,4,5,6,7,8,9,10,11

ე. შევარდნაძე. ახლა მე მინდა ასეთი რამ ვთქვა, როდესაც ჩვენ ხაზს ვუსვამთ იმას, რომ საქართველო კარგავს თავისუფლებას. ძალიან ლამაზი სიტყვები იყო და მეც ისეთივე მგრძნობიარე ვარ თავისუფლებისადმი, როგორც თქვენ, ყოველ შემთხვევაში ასეთი უნდა იყოს ყველა ნორმალური ადამიანი. მე მგონი, ჩვენ ცოტა არ იყოს, შეურაცხყოფას ვაყენებთ სხვა ხალხებსაც. რატომ გგონიათ, რომ ჩვენ ვართ თავისუფლების მოყვარულნი და უკრაინელებს თავისუფლება არაფრად არ ულირთ. (ხმა დარბაზიდან). ნუ შემედავებით, ძალიან გთხოვთ. ე.ი. გარდა ბალტიისპირეთის ქვეყნებისა, ყველა ქვეყანა შეუერთდა „სნგ"-ს, ყველაზე ბოლოს „სნგ"-ს შემადგენლობაში შევიდა საქართველო. მე მინდა ამას შევხედოთ, როგორც იტყვიან, ცივი გონებით და არ გვინდა ეს გამოთქმები: გადატრიალება, ბოლშევიკური იქნება, თუ ფაშისტური იქნება, თუ რაც იქნება, ეს უფრო სხვა ამბებთან არის დაკავშირებული, ქვეყნის ძირეულ ინტერესებთან. განსხვავება არის როგორ გვესმის ძირეული ინტერესები და როგორ ვხედავთ ამ გზებს. ალბათ არის ამაში განსხვავება და ეს ჩვენ პარლამენტშიც ჩანს, მგარამ ამას ჭირდება კორექტული კამათი და კორექტული განხილვა.

ახლა სერიოზული არგუმენტი იყო, ძალიან სერიოზული არგუმენტი აქ, ბატონი ვალერი კვარაცხელიას მიერ ასეთი ფრაზა იყო ნათქვამი, რომელსაც ყურადღება მაინცდამაინც არ მივაქციეთ ჩვენ. აი „სნგ" თავისთავად ნიშნავს თუ არა იმას, რომ გარკვეულად შეიზღუდოს რუსეთში ის ძალები, რომლის შესახებაც ელცინი ლაპარაკობდა თბილისში. ნიშნავს თუ არა ეს, რომ გარკვეულად შეიზღუდოს. ელცინმა თქვა, რომ ჩვენში, რუსეთში არიან ძალები, რომლებიც ფიქრობენ, ოცნებობენ იმპერიის აღდგენაზე ალიასკიდან, თუ არ ვცდები, უკრაინის ჩათვლით. არის თუ არა რაღაც გარკვეული. მე არ ვამბობ, რომ ეს მთავარი ფაქტორი, რომ რუსეთში სტაბილურობის ინტერესებსაც პასუხობს ასე თუ ისე სიცოცხლისუნარიანი თანამეგობრობა, მე ვერ გეტყვით, რომ ეს 2 წელიწადში ან 5 წელიწადში დაემსგავსება ევროგაერთიანებას, შეიძლება ისეც მოხდეს, რომ რაღაც საერთო სივრცე შეიქმნას და ჩამოყალიბდეს, ესეც არ არის გამორიცხული, მაგრამ ეს შეიძლება ერთ-ერთი ფაქტორი იყოს იმისა, რომ რუსეთის გარკვეული ძალები, თუ ისინი ხელისუფლების სათავეში მოვლენ, მათ უნდა იცოდნენ, რომ არსებობს სხვა ძალაც, არსებობს ეს თანამეგობრობა, მაშინ რუსეთი ამ თანამეგობრობიდან უნდა გავიდეს. კიდევ ვიმეორებ, ეს არ არის გარანტია, მაგრამ ეს ერთ-ერთი ფაქტორია. ელცინმა აქ სხვა ძალიან მნიშვნელოვანი ფრაზაც წარმოთქვა, რომელიც ასევე ანგარიშგასაწევია ჩემი აზრით, მათ შორის ის, რის შესახებაც ჩვენ არა ერთხელ გვითქვამს და მან ასეთი ფრაზა იხმარა, რის შესახებაც ჩვენ არა ერთხელ გვითქვამს და მან ასეთი ფრაზა იხმარა, რომ რუსეთი არ იხსნის თავის წილ პასუხისმგებლობას იმისათვის, რაც დაკავშირებულია აფხაზეთის საკითხებზე შეთანხმებების ჩაშლასთან. ძნელი სათქმელი იყო ეს, არ იყო იოლი სათქმელი. მე ვეთანხმები პრინციპში ბატონ თედო პაატაშვილს, ერთ-ერთი ფრაზა ასეთი იყო, ძალიან საგულისხმო ჩემი აზრით, რომ



ვინც არ უნდა იყოს რუსეთის სათავეში, საქართველო ყველა შემთხვევაში უნდა ცდილობდეს ნორმალური ურთიერთობა ჰქონდეს ამ ქვეყანასთან. ასეა, ასე ინება ისტორიამ და ასე ინება განგებამ. დიდ ქვეყანასთან ურთიერთობაში ზოგიერთი რამ და ბევრი რამ უნდა გაითვალისწინო. მე ისიც მინდა ვთქვა, აი აქ ასეთი ფრაზები იყო, რომ ხელისუფლება არ უნდა აბრალებდეს ოპოზიციას რაღაცეებს და ა.შ. რომ ჩვენ შევიზღუდებით, რომ შეიზღუდება ჩვენი სუვერენიტეტი. ესეც ცოტა გაცვეთილი სიტყვებია, მაგრამ არ გვინდა ღია კარების მტვრევა. ხელშეკრულება, ყოველგვარი ხელშეკრულება, ყოველგვარ ორგანიზაციაში შესვლა, თანამეგობრობა თუ გაერთიანება იქნება, ეს გარკვეულად ნიშნავს ეროვნული სუვერენიტეტის რაღაც ნაწილის, რაღაც სახელმწიფო ფუნქციის დელეგირებას. ეს ასეა ყველგან, ასე იყო ისტორიულად და ასეა დღესაც. შეიძლება ჩვენ რაღაც უფლებებს ვთმობთ, მაგრამ ჩვენ გამოვდივართ იქიდან, რომ დოკუმენტში, რომელსაც ჩვენ ვუერთდებით დღეს, არის ჩადებული გარანტიები, გარანტიები იმისა, რომ სუვერენიტეტი იმ ფარგლებში, რა ფარგლებშიც ჩვენ ვაღიარებთ, რა ფარგლებშიც ჩვენ ვცნობთ და ჩვენ გვცნობს გაერო და სხვა, ეს სუვერენიტეტი ხელშეუხებელი იქნება. (ხმა დარბაზიდან). მე ყველა მუხლი კარგად მაქვს წაკითხული.

როგორ გავლენას მოახდენს, თუ დღეს პარლამენტში მოხდბა რატიფიცირება, როგორ გავლენას მოახდენს ეს ვიზიტზე აშშ-ში. მე მადლობელი ვარ იმ დეპუტატებისა, რომლებმაც გარკვეული შეშფოთება გამოხატეს, რომ ხომ არ შეუშლის ეს, ხომ არ იქნება ეს დამაბრკოლებელი გარკვეული წარმატების მიღწევის გზაზე. მე ცოტა სხვა პრინციპზე ვდგავარ, ვიდექი და კვლავაც ვდგავარ. ჩვენ პატიოსან პოლიტიკას უნდა მივსდიოთ და მე სულაც არ ვპირებ, მოხდება რატიფიცირება თუ არ მოხდება, ეს საკითხი რაღაც, ხანდახან რომ ვიყენებთ ამ სიტყვას, კოზირად შემოვიტოვო ადმინისტრაციასთან ლაპარაკის დროს. ჩვენ სხვა ურთიერთობა გვაქვს აშშ-თან. აქ ბევრი ითქვა, რომ ჩვენ არ გვინახავს დასავლეთში არც ერთი მოღვაწე, ვინც საქართველოს „სნგ"-ში შესვლა დადებით მოვლენად ჩათვალა. არ არის ეს ასე. ამერიკის შეერთებულ შტატებშიც, დასავლეთის სხვა ქვეყნებშიც შესანიშნავად იციან, რომ საქართველოს არჩევანი არ ჰქონდა. აქ ისიც გაისმა, რომ მაშინ რომელი გზით უნდა ვიაროთ? არ არსებობს, მე გეუბნებით, რომ ეს ფაქტორი უნდა გამოვიყენოთ, არის ამის შესაძლებლობა. ვისარგებლოთ ამ თანამეგობრობით და პარალელურად ვითამანამშრომლოთ ყველასთან და აქ არის შესაბამისი გარანტიები, რომ ჩვენ ამ საქმეში არავინ არ გვზღუდავს და ვერც შეგვზღუდავს. დროის გაჭიანურება ყველა შემთხვევაში შეიძლება მძიმე შედეგებით დამთავრდეს. მე გთხოვთ, ყველაფრის თქმა კიდევ იქნებ არ შეიძლებოდეს, ისეთ მდგომარეობაში მყოფი ხალხისათვის, მე მხედველობაში მაქვს ჩვენი სხვადასხვა რეგიონები, როცა მთლიანობის, ერთიანობის პრობლემა, ტერიტორიული მთლიანობის პრობლემა, საზღვრების ხელუხლებლობა არა მარტო დღეს, გთხოვთ ჩაუფიქრდეთ, არამედ ხვალაც შეიძლება ეჭვის ქვეშ დაისვას, გარკვეული და გარკვეული მიზეზების გამო იმიტომ, რომ ჩვენი გეოგრაფიული მდგომარეობა არის ასეთი, უმძიმესი და ურთულესი. მე მგონი, ამიტომ უნდა ვეძებოთ სადაც კი შესაძლებელია, როგორც კი შესაძლებელია, გვქონდეს გარანტიები, გვყავდეს მეგობრები ყველგან, მთელ მსოფლიოში, მათ შორის იმ წარმონაქმნში, რომელსაც ჰქვია თანამეგობრობა.

ახლა პატარა, ზოგიერთი მარტო დეტალი. მე, ქალბატონმა ირინამ იცის, მის ყველა გამოსვლას დიდი გულისყურით ვუსმენ, ახლაც მოვუსმინე, ბევრ მოსაზრებაში ვეთანხმები, ზოგიერთი რამ მინდა დავაზუსტო. რატომ არ შეიყვანეთ ორი დივიზია? სხვათა შორის ესეც პრინციპული საკითხია. იყო ამის შანსი მაშინ. არა მარტო იმიტომ, რომ ვთქვით, აი გიამ და ირაკლიმ თქვეს, რომ ჩვენ გადავგდებით. არა, მე კიდევ არ მჯეროდა, რომ სოხუმისათვის ბრძოლაში ჩვენ ერთმანეთს ვუღალატებდით. იმიტომ, რომ სოხუმთან 8000 კაცი იდგა, თავისი ტექნიკით და ყველა შესაძლებლობით და 20000 კაცი მოდიოდა ოჩამჩირიდან და მომდგარი იყო ლამის გულრიფშის რაიონს. მოხდა უბედურება, ვუღალატეთ ერთმანეთს. აი ამან პრინციპში, მე არ მინდა წარმოვიდგინოთ ისე, რომ ვილაცის ბრალეულობას ვამსუბუქებ — სხვა ქვეყნის, სხვა ძალების, მაგრამ პრინციპში ვერ წარმოვიდგინე თუ ამ დონის, ამ მასშტაბის ღალატი იქნებოდა შესაძლებელი სოხუმში და აფხაზეთში. მე მჯეროდა, დავიჯერე, რომ ჩვენ



ყველანი გავერთიანდით მაშინ, ყველანი, ექსპრეზიდენტის მომხრეებიც, ქობალიაც, სხვებიც და სხვებიც. დავიჯერე ეს ამბავი და ვერ წარმოვიდგინე, რომ ჩვენ შეგვეძლო ასეთ დიდ ღალატზე წავსულიყავით. აი ამიტომაც უბრალოდ ჭეშმარიტების დადგენისათვის. მე ხაზს ვუსვამ ამ ფაქტს. დანარჩენი, როგორც მოგახსენეთ, მოდით და კარგად გავიაზროთ. როცა ვამბობთ, რომ „სნგ"-ში არ უნდა შევიდეთ, მე მგონი ბატონმა ზურაბ ჟვანიამ თქვა, რა მოხდება, რომ არ შევიდეთ. ამის განხილვა ძალიან შორს წაგვიყვანს. მე კიდევ ვიმეორებ, კარგად გავიაზროთ დღევანდელი ჩვენი მდგომარეობა და ჩვენი მდგომარეობა მომავალშიც. ამიტომ ჩვენ მდგომარეობაში მყოფ ხალხს, ერს, ქვეყანას და სახელმწიფოს არა აქვს უფლება უარი თქვას თუნდაც პატარა შანსზე, რომელიც იხსნება, რომელიც გვეძლევა განგებისა და ბუნების მიერ იმისათვის, რომ თავი გადავირჩინოთ. მე მინდა გთხოვოთ თქვენ შეხვდეთ გაგებით იმ არგუმენტებს, რომლებიც მე შემოგთავაზეთ ჩემს პატარა ცნობაში, რომელიც თქვენ დაგეგზავნათ და იმასაც, რაც მე მოგახსენეთ. გმადლობთ.

**თავმჯდომარე.** ფრაქცია „თანხმობა" შემოდის წინადადებით: იმის გამო, რომ ხანგრძლივ დებატებს არავითარი შედეგი არ გამოუღია, ამას მთლად ვერ დავეთანხმებით, არც ერთ დეპუტატს არ შეუცვლია პოზიცია, მიზანშეწონილად მიგვაჩნია კამათის შეწყვეტა. გამოსვლის მსურველმა დეპუტატებმა გამოსვლის ტექსტები გადასცენ აპარატს და ეს ტექსტები გამოქვეყნდეს პრესაში.

ბატონებო, რეგლამენტის მიხედვით ასეა. კამათში კიდევ 32 კაცია ჩაწერილი. მთელი წელიწადი ვკამათობდით ჩვენ ამ საკითხზე, არის შემოსული წინადადება და ვუყაროთ კენჭი, თუ არ იქნება პარლამენტი მომხრე, მაშინ შემდეგ გავაგრძელებთ კამათს. (ხმაური დარბაზში). მოვემზადოთ კენჭისყრისათვის. (კამათი დარბაზში). ვინ არის მომხრე, რომ შეწყდეს კამათი? (ხმაური დარბაზში). გთხოვთ ჩავრთოთ. ნუ ყვირიხართ, დამშვიდდით. მიმდინარეობს კენჭისყრა.

სხვათა შორის ბევრი განაწყენებული მყავს უმრავლესობიდან, ბევრი დარჩა გამომსვლელი და ბოდიშს გიხდით. (კამათი დარბაზში). ბატონო ვანო, არაფერი არ დამირღვევია, გარწმუნებთ.

ახლა მოვემზადოთ კენჭისყრისათვის, ფრაქცია „თანხმობა" აყენებს წინადადებას... (ხმაური დარბაზში). ...აყენებს წინადადებას, რომ სახელობითი იყოს. მოვემზადოთ კენჭისყრისათვის, რომ სახელობითი იყოს. (ცხარე კამათი დარბაზში). ვინ არის მომხრე, რომ სახელობითი იყოს კენჭისყრა?

**თ. ჩხეიძე.** პარტიებს არ მიეცით სიტყვა, რა უფლება გაქვთ.

**თავმჯდომარე.** თითქმის ყველას მივეცით.

**თ.ჩხეიძე.** აი მთელი მსოფლიო გაიგებს ამას.

**თავმჯდომარე.** მთელი მსოფლიო უყურებს ამას.

**თ.ჩხეიძე.** ბოლშევიკებო — აი ესა ხართ თქვენ.

**ხმა დარბაზიდან.** ხომ არ გამოსულა, ბატონო ვახტანგ.

**ლ.შაკიაშვილი.** ფრაქციის წარმომადგენლებს რატომ არ აძლევთ სიტყვას.

**თავმჯდომარე.** ნუ ყვირიხართ.

**ლ.შაკიაშვილი.** როგორ იქცევით, როგორც გამსახურდიას პარლამენტი.

**თავმჯდომარე.** რეგლამენტის მიხედვით.

**თ.ჩხეიძე.** თქვენი მეგობრები გაიგებენ, როგორ მოატყუეთ... გაიგებენ.

**თავმჯდომარე.** მოიცადეთ. ზუსტად 5 წუთი, ოპოზიცია ითხოვს კენჭისყრის წინ, აქვთ ამის უფლება, შესვენება ზუსტად 5 წუთი.

*ხმა დარბაზიდან.* პროცე-

გაგრძელება მე-7 გვ.

# ფრთხილი ეჭვი — დღეს თითქმის რეალობა

*ფრთხილმა, როგორც ყოველთვის, და ბრძენმა, როგორც ყოველთვის, THE ECONOMIST-მა გროზნოს 27 დეკემბრის ტერაქტისთანავე გამოაქვეყნა ძალიან მოკლე წერილი სათაურით „არაფერი ნორმალური" (რუბრიკაში „რუსეთი და ჩეჩნეთი"), სადაც მკაფიოდ აღნიშნა, რომ ჩეჩნეთში ბრძოლის ახალი, თვისობრივად განსხვავებული ეტაპი იწყება და ამავე დროს ფრთხილად (ძალიან ფრთხილად!) მიანიშნა, რომ შესაძლებელია ყველა ფაქტორი, მოქმედ პირთა ჩათვლით, ისე არ იყოს განლაგებული, როგორც ამას რუსული ოფიციალური ინფორმაციის მესვეურები ვარაუდობენ. ნუ დაგვავიწყდება, რომ ეს ის ჟურნალია, რომელმაც არაერთი პუბლიკაცია დაუთმო რუსეთის დიდ ტერაქტებში ჩეჩნების მონაწილეობის საკითხს (ყურადღება მივაქციოთ: საკითხს, და არა თემას!) და უკანასკნელად იმ პოზიციას დაადგა, რომ არავის შეუძლია დამტკიცება, მოსკოვისა და ვოლგოდონსკის უხვსისხლიანი აფეთქებები „ფე-ეს-ბეს" (რუსეთის უშიშროების სამსახურის) მოწყობილი არისო, და არავის შეუძლია დაამტკიცოს, მისი მოწყობილი არ არისო. დღეს ეს თემა, შეიძლება ითქვას, აქტუალიზებულია. ცისფერი ეკრანის მაცქერალნი, ზედიზედ ვხედავთ, რომ ჩეჩნეთის აფეთქებებმა სამხედრო ავტოკოლონების გზებიდან, თითქოს, ჩეჩნურსავე ადმინისტრაციულ შენობებთან გადაინაცვლა და მსხვერპლთა დიდი ნაწილი ჩეჩნური ეროვნებისავე ადამიანებმა (მათ შორის — ბავშვებმა) შეადგინეს. ხომ არ დევს ამ ცვლილებაში იმის გეგმა, რომ მავანსა და მავანს უჩვენონ, ხედავთ, ფარული ბომბებით ბრძოლის თქვენეული ტაქტიკა თქვენ ხალხს უფრო აზარალებს, ვიდრე ჩვენო?*

*მკითხველს ვაცნობთ ამ დღესდღეობით უკვე ისტორიის ნაწილად ქცეულ წერილს.*

## რუსეთი და ჩეჩნეთი

## არაფერი ნორმალური

**(რუსეთის დაჟინებული განცხადებები, ჩეჩნეთის დაწყნარება შემიძლიაო, უფრო ფუჭად ჟღერს, ვიდრე ოდესმე)**

ჩეჩნეთის ერთადერთი ადგილი, სადაც რუსები თავს მშვიდად გრძნობდნენ, დღეს ნანგრევილაა. იმ სამმა კაცმა, დინამიტით გატენილი ორი ავტომანქანა რომ გროზნოს ადმინისტრაციული შენობის ეზოში შეიყვანა 27 დეკემბერს, თავისი საქმე კეთილსინდისიერად შეასრულა. მოკლულთა რიცხვი ასს აღწევს.

ისევე როგორც ოქტომბრის მძევალთა კრიზისი მოსკოვში, როცა 40-ზე მეტმა მძიმედ შეიარაღებულმა მეამბოხემ თავისი მანქანებით დედაქალაქი გაიარა მანამდე, სანამ თეატრს დაიკავებდა, ეს უკანასკნელი თავდასხმაც გვიჩვენებს, რომ რუსეთის ყველაზე ძლიერი ზომები უსაფრთხოების განსახორციელებლად ხშირად ფარსია. ჩეჩნეთის ერთ-ერთი მოხელის სიტყვით, თავდამსხმელნი საკონტროლო პუნქტებზე უჩვენებდნენ სამხედრო დოკუმენტებს ან კარგ ფალსიფიკაციებს, როცა რესპუბლიკის დედაქალაქისკენ მიდიოდნენ. ვერ იმუშავა რუსეთის უშიშროების ყველაზე ძირითადმა ზომამაც — გაწაფულმა თვალმა, რომელიც ადამიანს მის ეროვნებას (RACE) ატყობს: როგორც იტყობინებიან, ორს იმ სამთაგანს ღია ფერის თმა და სლავური ნაკვთები ჰქონდა.

რომელმა სხვადასხვა მეამბოხე ჯგუფთაგანმა მოიმოქმედა ეს, ნათელი არ არის. მაგრამ ეს თავდასხმა მეტყველებს ცვლილებაზე ტაქტიკაში. მოსკოვის კრიზისამდე სეპარატისტები, არსებითად, პარტიზანულ ომს ეწეოდნენ. მოსკოვში მძევალთა ამყვანებმა განაცხადეს, მოწამეობისათვის მზად ვართო, მაგრამ ან დრო, ან გამბედაობა (CANRAGE) არ ეყოთ, რომ მძევლები და თავი აეფეთქებინათ მანამდე, სანამ სპეცრაზმი შენობას იერიშით აიღებდა და მათ დახოცავდა. გროზნოს აფეთქება იყო პირველი მკაცრი და წარმატებული თვითმკვლელური აქტი 1994 წელს კონფლიქტის დაწყების დღიდან.

ამან მთავრობას საშუალება მისცა, კიდევ ერთხელ, ხმამაღალი განცხადებები გაეკეთებინა იმის თაობაზე, რომ პარალელი არსებობს ჩეჩნეთის კამპანიასა და ამერიკელების ანტიტერორისტულ ომს შორის. საგარეო საქმეთა სამინისტრომ თქვა „ტერორისტებმა ჩეჩნეთის რესპუბლიკაში კიდევ ერთხელ გვიჩვენეს, რომ ისინი მსოფლიოს ტერორისტული ინტერნაციონალის ერთ-ერთი დანაყოფი არიანო". უდავოა, რომ მუსლიმანურმა რადიკალიზმმა და ზოგმა მისმა მეთოდმა მართლაც შეაღწია მეამბოხე ჩეჩნებში. ალჟირში დაბადებულ მებრძოლებს, რომლებიც ერთი კვირის წინ დააკავეს საფრანგეთში, ბრალად დაედოთ რუსული ინტერესების წინააღმდეგ მოქმედება საფრანგეთში ჩეჩნებისათვის მხარის დაჭერის მიზნით. მაგრამ



რუსეთისთვის ყველაზე უსაფრთხო შენობა გროზნოში

არანაირი ნიშანი არ არსებობს იმისა, რომ ჩეჩნეთის სისხლიანი კონფლიქტი გასცდა ძალაუფლებისათვის ადგილობრივი ბრძოლის ფარგლებს ან რომ მისი კონტროლი გარეშეებმა აიღეს ხელთ.

ყველა შემთხვევაში, ეს თავდასხმა დიდი დარტყმაა მოსკოვის იმედისათვის, რომ ჩეჩნეთში ნორმალურ მდგომარეობას შექმნის. წლეულს მთავრობა გეგმავს რეფერენდუმს ახალ (არასეპარატისტულ) კონსტიტუციაზე და რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნებს. იგი ხურავს ლტოლვილთა ბანაკებს ინგუშეთში და აიძულებს მაცხოვრებლებს ჩეჩნეთში დაბრუნდნენ. გერმანიის ის შენობა ხელისუფლების საჯდომიც იყო და ჩეჩნეთის რეკონსტრუქციის სიმბოლოც. ყველანაირი ნორმალობა აქ ისეთივე არამკვიდრი (FLIMSY) იქნება, როგორც ახალი შტაბბინა, რომელიც ახლა ამ დაწესებულებისთვის კეთდება.

**4.1.2003 წ.**

# ბრიტანული ჟურნალი „ანტიამერიკანიზმის" შესახებ




ბრიტანეთის ძალიან, ძალიან სერიოზულ პრესას თავისი ამერიკელი მეგობრების მიმართ ერთგვარი კეთილმსურველური და ფრთხილი პედაგოგიკის კილო აქვს არჩეული: მიდით, მიდით, ჩვენო ძვირფასო მეგობრებო, იმოქმედეთ გაბედულად, მაგრამ არ შეგეშალოთო. ბუნებრივია, რომ ამერიკელთა სამხედრო და სხვა სტრატეგიულ წარმატებათა კვალდაკვალ იზრდება ევროპელთა ფრთხილი დამოკიდებულებაც მათდამი, ვაი თუ ჩვენი მეგობრები მეტისმეტად გათამამდნენ ამ წარმატებათა შედეგად და ჩვენი ანგარიშგაწევაც დაავიწყდეთ და სიფრთხილეცო. ერაყის ომის წინა კვირებში THE ECONOMIST-მა ეს პრობლემა კიდევ ერთხელ (ალბათ, არა შემთხვევით) გაიხსენა და მას საგანგებო წერილიც მიუძღვნა ქვესათაურით „ამერიკელთა კრიტიკა გარდუვალია და ჯანსაღიც კია — მაგრამ იგი ხელიდან ვერ უნდა გაგვექცეს".

ამერიკელთა კრიტიკას მრავალმხრივი და, ბუნებრივია, ურთიერთწინააღმდეგობრივი მიმართულებები აქვს. ჩრდილოეთ კორეის მიერ ბირთვული იარაღის დაულარუნება საბაბი ხდება სამხრეთ კორეელთა დემონსტრაციისათვის შეერთებული შტატების, როგორც ჩრდილოელი დიქტატორის საამისოდ მაპროვოცირებლის, წინააღმდეგ. მეორეს მხრივ, არაბები ამერიკელებს ბრალად სდებენ მეტისმეტად რბილ მოპყრობას კორეელი დიქტატორისადმი, რომელიც არა ჰგავს მათსავე სიმკაცრეს არაბი დიქტატორის — სადამ ჰუსეინის — მიმართ. ზოგნი ამერიკელებს „უპრინციპობას" და ნავთობის ზედმეტად პრაგმატულ სიყვარულს უსაყვედურებენ, ზოგნი, პირიქით, პოლიტიკის ზედმეტ „იდეოლოგიზაციას", ზოგნი სიონიზმს და ზოგნი — მაკიაველიზმს. მაგრამ ჟურნალი ფიქრობს, რომ თუმცა ანტიამერიკანიზმი დღევანდელ მსოფლიოში ფართოა და ფართოვდება, იგი ღრმა არაა და არ გახდება. მისი ძირითადი მკვებავია ბუნებრივი ადამიანური შური წარმატებული ლიდერისადმი, მისი შემაფერხებელი ფაქტორებია ის, რომ ამერიკელებისთვის დღეს ძალაში მყოფი ღირებულებები ძალაშია სხვებისთვისაც (ყოველ შემთხვევაში, დასავლეთისთვის მაინც), ამერიკელების დღევანდელი კულტურა (ამ სიტყვის უფართოესი აზრით, რომელიც მოიცავს მთელ ცხოვრების წესს, მეცნიერულ-ტექნიკური დონის ჩათვლით) დღეს მოსწონს მთელ მსოფლიოს, ამერიკელების ბრძოლას ტერორიზმთან მსოფლიო სწორად თვლის და მსოფლიოს უდიდეს ნაწილს უხარია, რომ მსოფლიოში ეს ერთი სუპერძალაა მხოლოდ და არ არის სხვა. ანტიამერიკულად განწყობილი მოქალაქეები ყველგან უმცირესობას შეადგენენ. პრაქტიკული შედეგებიც სახეზეა: მას, არსებითად, ენდობიან, მისი 17 სამხედრო ბაზის არსებობას თავის ტერიტორიაზე ქვეყნები სიხარულით ურიგდებიან და, ძირითადად, „უნდათ იგივე, რაც ამერიკას უნდა".

ბუნებრივია კითხვა: ხომ არ შეიცვლება ეს ვითარება ამერიკელებისადმი დამოკიდებულების გაფუჭების მიმართულებით? ხომ ფაქტია, რომ ცივი ომის დროს ამერიკელები ხშირად უხეშად მოქმედებდნენ, კომუნიზმის მოგერიების მიზნით, და ხშირად მხარს უჭერდნენ დიქტატორებს! ეს სიტუაცია, ჟურნალის აზრით, დღეს დიდად შეცვლილია იმასთან შედარებით, რაც იყო 20-40 წლის წინათ. დღეს ამერიკელთა კონცენტრირებულია სწორედ დემოკრატიაზე და ადამიანის უფლებებზე. ამიტომ დასმულ კითხვას, თითქოს, უარყოფითი პასუხი ეკუთვნის. მაგრამ, ჟურნალის აზრით, სიტუაცია არც ისე მარტივია და ადვილი. სახელდობრ, ამერიკელებისადმი დამოკიდებულებაში უარყოფით როლს თამაშობს ორი არც ისე მარტივი და ადვილი. სახელდობრ, ამერიკელებისადმი დამოკიდებულებაში უარყოფით როლს თამაშობს ორი დამატებითი ფაქტორიც: კულტურული და პოლიტიკური. პირველი იმაში მდგომარეობს, რომ ევროპელთა აზროვნებამ ამ ბოლო რამდენიმე ათწლეულის მანძილზე ევოლუცია განიცადა სეკულარიზაციისაკენ (ანუ რელიგიის სფეროში თავისუფალმოაზროვნებისაკენ), ამერიკელებისამ კი პირიქით, ევროპულმა სულისკვეთებამ ტრადიციებისაგან დაშორების მიმართულებით იმოძრავა, ამერიკელებისამ — ტრადიციონალიზმის მიმართულებით, რის გამოც ევროპელებს არ აკმაყოფილებს ამერიკელთა მეტისმეტად გამარტივებული განსაზღვრა ღირებულებათა სისტემებისა და მათზე დამყარებული მიზანთსახვა. პოლიტიკურ სფეროში კი ოკეანგაღმელთა და გამოღმელთა განსხვავება იმ მხრივ იზრდება, რომ ამერიკელები უფრო დიდ აქცენტს აკეთებენ აქ პლურალიზმზე, აზრთა განსხვავებულობაზე თვით მმართველი ჯგუფის შიგნითაც კი, რაც ევროპელებს (უთუოდ, მათი უფრო დიდი მიდრეკილების გამო ჩაღრმავებულ აზროვნებისკენ, რედ.) აგრეთვე აღიზიანებს. თქმულიდან გამომდინარეობს, ჟურნალის აზრით, ის, რომ ამერიკელებს მეტი ყურადღება ჰმართებთ თავის მოკავშირეთა სულისკვეთებისადმი (ანდაზისა არ იყოს — NOBBESSE OBLIGE, კეთილშობილება გავალდებულებთ), რათა შროდერის მაგალითს სხვებმაც მიჰბაძონ და ამერიკელებისადმი ზომიერი დაპირისპირების მოტივი თავისი საარჩევნო კამპანიის ბერკეტად არ გამოიყენონ.

...

ამ დამყვავებელი კილოს მიღმა ციფრები, სხვა ობიექტური მონაცემები და სიღრმისეული ანალიზები დგას. ჟურნალი არც მათ ტოვებს უყურადღებოდ. აი (ძალიან მოკლედ) ეს მონაცემებიც.

ჟურნალისთვის უეჭველია, რომ ამა თუ იმ ერის (ქვეყნის, საზოგადოების) მიერ აღიარებულ ღირებულებათა სისტემას გადამწყვეტი გავლენა აქვს მის ქცევაზე, პოლიტიკურის ჩათვლით. უეჭველია ისიც, რომ ამერიკელები და ევროპელები ერთსა და იმავე ღირებულებებს თვლიან ძირითად ღირებულებებად (მაგ. „თავისუფლებას", „ადამიანის ადამიანურ უფლებებს" და „დემოკრატიას") და კამათსაც მათზე მართავენ. მაგრამ, ჟურნალის აზრით, საეჭვოა, რომ შესაძლებელი იყოს ერთი და იმავე ძირითადი ღირებულებების მაღიარებელ ქვეყნებს ესოდენ განსხვავებული შეხედულებები ჰქონდეთ სამყაროზე და, სხვათა შორის, ტრანსატლანტიკურ ურთიერთობებზეც, ანუ ურთიერთობებზე ამერიკასა და დას. ევროპას შორის. საკითხის გასარკვევად და შედეგის დასაზუსტებლად ჟურნალი იმოწმებს რამდენსამე ფუნდამენტურ საანკეტო გამოკვლევას ამ თემაზე.

გერმანელთა 61%-ს, ფრანგთა 63%-ს და ბრიტანელთა 75%-ს აშშ მოსწონთ. 42 შესწავლილი ქვეყ-

გაგრძელება მე-4 გვ.

# იუგოსლავია თუ ყოფილი იუგოსლავია?




იუგოსლავია მხატვრის თვალით

რამდენიმე ათწლეულის წინ ქართველ დისიდენტობაში გაოცებას იწვევდა დასავლეთში მოარული პროგნოზი: „მესამე მსოფლიო ომი თუ დაიწყება (მიაქციეთ ყურადღება „თუ"-ს!), იგი დაიწყება ან ბალკანეთში, ან კავკასიაში". დღეს ამ უკვე თითქმის ამხდარი წინასწარმეტყველების აზრი უკვე გასაგებია: პირველი ამოცანა იყო რუსეთის გავლენის მოცილება ბალკანეთიდან. ეს ამოცანაც წყდება. რუსეთი, როგორც ჩანს, ნამდვილ წინააღმდეგობას ვერც ამჯერად წევს და III მსოფლიო ომიც სხვა რეგიონისათვის და სხვა დროისათვის გადავადდება. მაგრამ ვაი ბალკანეთს და მის ყველაზე დიდ სახელმწიფოს იუგოსლავიას! საქართველოს, ცხადია, მაქსიმალური სიბრძნე და ძალისხმევა ჰმართებს, რათა მისი ხვედრი აიცილოს.

მკითხველს ვთავაზობთ ნაწყვეტებს ბალკანეთის სიტუაციის მიმოხილვიდან THE ECONOMIST-ში, სადაც მკითხველს არაერთი მოვლენა ეცნობა.

სერბიას და მონტენეგროს („ჩერნოგორიას") — ამ ორადორ რესპუბლიკას, რომელიც იუგოსლავიაში დარჩა — გაუჭირდათ პრეზიდენტების არჩევა. ხალხი პასიურია, ვინაიდან მოვლენათა დღევანდელ მსვლელობაში აზრს ვერ ხედავს (I ანალოგია).

სერბიასა და მონტენეგროში (სხვაგანაც) ბობოქრობს კორუფცია და ორგანიზებული დანაშაული (II ანალოგია).

სერბია და მისი გამდგარი პროვინცია — კოსოვო როგორღაც „აგვარებენ", დასავლელ მზრუნველთა გულის გასახარად, თავის ურთიერთობებს, თუმცა იქ მაცხოვრებელი 1,8 მილიონი ალბანელი (თითქმის ყველა — II მსოფლიო ომის შემდეგ დასახლებული) დამოუკიდებლობას მოითხოვს, 100 ათასი იქ დარჩენილი სერბი თავის სიცოცხლეს დაჰკანკალებს და 250 ათასი სერბი ლტოლვილი შინ ვერ მისულა დახოცვის შიშით, თუმცა იქ რამდენიმე ქვეყნის „მეშვიდობეები" დგანან (III ანალოგია). მკვლელობა „სულ" თითებზე ჩამოსათვლელია.

ორი ყველაზე დიდი პოლიტიკური ფიგურა — კოშტუნიცა და ჯინჯიჩი — მხოლოდ მილოშევიჩის გადაგდების სურვილმა გააერთიანა. შემდეგ ერთმანეთის მოსისხლენი გახდნენ (დღეს ერთი მათგანი აღარაა). მათი ენერგიის დიდი ნაწილი ურთიერთბრძოლას მოუნდა (IV ანალოგია).

სერბია და მონტენეგრო, კარგად თუ ავად, თანაარსებობენ, დასავლელთა გულმხურვალე მზრუნველობით, და რაღაც გაურკვეველი და არაქმედითი ერთობლივი სახელმწიფოს გაფორმებაზე ფიქრობენ (რა თქმა უნდა, დროის ჭიმვით), ამ დროს კი გადამწყვეტი ნახტომისთვის ემზადებიან. ოღონდ სხვადასხვა მიმართულებით — სერბები ნამდვილად მყარი სახელმწიფოს შექმნისკენ, მონტენეგროელები — არსებული სუსტის დაშლისკენ (V ანალოგია).

დასავლეთი კმაყოფილია (რა თქმა უნდა, მხოლოდ შედარებით, მაგრამ მაინც კმაყოფილია) მდგომარეობისა იმიტომ, რომ „სტაბილობამ" იმატა, სისხლი ნაკლებია, „რეფორმების" რაღაც ნიშან-წყალი ჩანს და ახალგაჩენილ ახალ სახელმწიფოთა თუ კუდმოკვეცილი ძველი სახელმწიფოს ლიდერები არ არიან წინააღმდეგნი, დროდადრო ერთობლივი (ირონიულად: „ოჯახური") ფოტოები გადაიღონ და, — თითქოს არაფერი მომხდარა — ნატოში მიღების ზრდილობიანი შეპირებებიც მოისმინონ (VI ანალოგია).

***რედაქციისგან:*** *მეშვიდე ანალოგიისგან — იმისგან, რომ ძველი იუგოსლავიის ადგილზე დღეს რამდენიმე ცალ-ცალკე სახელმწიფო არსებობს — ღმერთმა დაგვიფაროს. მაგრამ იგი დაგვიფარავს მხოლოდ*




ბალკანეთი კარტოგრაფის თვალით

*იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს უნარიანი, პატიოსანი, განათლებული და, — რაც მთავარია, — ერთგული ხელისუფლება ეყოლება.*




# „ისინიც მხარს უჭერენ ამერიკას“

*კითხვას, „რას ურჩევთ ამერიკას?“ მალაიზიელი თვალსაჩინო პოლიტიკოსი პასუხობს: „ვურჩევ მათ, დაგვიჭირონ მხარი. განავითარონ უფრო მჭიდრო მოკავშირეობა მალაიზიასთან“. სინგაპურელი დიპლომატი ამბობს: „ჩვენ უყოყმანოდ პროამერიკულნი ვართ“. „სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში მოგზაურობისას მე გამაოცა იმან, — წერს ავტორი, — თუ რამდენად განსხვავდება აქაური რეაქცია ამერიკელების ძლიერების ზრდაზე ევროპელთა რეაქციისაგან. თვით ინდონეზიაშიც კი, ამ ტრადიციული ქსენოფობიური ნაციონალიზმის ქვეყანაში, განწყობილება სხვაა, ვიდრე რუსეთში ან საფრანგეთში“. აზიის მეორეხარისხოვანი სახელმწიფოები შიშობენ, ამერიკელებს არ „შეეშალოთ“ პოლიტიკაში და, ვთქვათ, ისლამთან გამოუსწორებელ დაპირისპირებაში არ მოექცნენ. იმ დროს, როცა დიდი ევროპელები, პირიქით, შიშობენ, ამერიკელების გაზრდილმა ძალამ ისინი მთლიანად არ გამოთიშოს „მსოფლიოს მოწყობის“ ამოცანაში მონაწილეობიდან. ავტორი თვლის, რომ მომცრო ევროპელების დამოკიდებულება ამ თემისადმი დიდწილად იგივეა, რაც მომცრო აზიელებისა, და ამავე დროს ფრთხილად მიგვანიშნებს, რომ მომცრო აზიელები „თვალყურს ადევნებენ ჩინეთის აღზევებას“, რაც იმას ნიშნავს, რომ ამერიკელთა ძალის ზრდა მათ ჩინეთისადმი საპირწონეს შექმნის თვალსაზრისითაც მოსწონთ. კითხვას, იზრდება თუ არა ისლამურ აღმოსავლეთ აზიაში ანტიამერიკანიზმი ამერიკელთა გაძლიერების გამო, იქაური პოლიტიკოსი პასუხობს, რომ იგი იზრდება, მაგრამ არა იმიტომ, რომ ისლამური ფუნდამენტალიზმი ძლიერდება, არამედ იმიტომ, რომ თვით ფაქტი სხვისი ძალის ზრდისა ფსიქოლოგიურ შეშფოთებას ბადებს. ამ მხრივ, ავტორის აზრით, ამერიკული პოლიტიკის მგეგმავები ძალიან სათუთი და საპასუხისმგებლო არჩევანის წინაშე დგანან: ჰეგემონიის ფლობა ამერიკელების მიერ ფაქტია. ახლა კითხვა დგას, უკეთ როგორ გამოიყენონ ეს ჰეგემონია. ავტორის აზრით, ამერიკელების ჰეგემონიას მსოფლიო კიდევ კარგა ხანს არ გამოუჩნდება მეტოქე (ჩინეთის ფაქტორს, გარდა ზემოხსენებული ფრთხილი მინიშნებისა, იგი გვერდს უვლის). მისი აზრით, ამერიკელებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იზრუნონ თავისი ძალის ლეგიტიმურ ხასიათზე, რადგან ჭეშმარიტი ძალის ნამდვილი წყარო სწორედ ეს უკანასკნელია.*

აშშ კონგრესში უმრავლესობის მოპოვებით და გაეროში სასურველი რეზოლუციის გატანით, რომელმაც მნიშვნელოვანწილად გზა გაუხსნა ამერიკელებს ერაყში შეიარაღებული მოქმედების დასაწყებად, მნიშვნელოვნად გაზარდა რესპუბლიკური ადმინისტრაციის გავლენა ამერიკაში და ამერიკის გავლენა მსოფლიოში. ერაყში მოპოვებული შთამბეჭდავი სამხედრო წარმატების წყალობით ეს გავლენა კიდევ უფრო ძლიერდება. „საქართველოს“ მკითხველმა იცის, რომ ეს პროცესი ყველას აღტაცებას არ იწვევს, კერძოდ, ევროპის არაერთი დიდი სახელმწიფო (ინგლისი მათ რიცხვში არაა) უკმაყოფილოა ამერიკელთა „ერთმხრივი“ (ანუ მოკავშირეთა უგულებელმყოფელი) აქტიური პოლიტიკის გამო ღიად და თვით მისი განუხრელი გაძლიერების გამო — ფარულად. როგორია სხვა ქვეყნების პოზიცია ამ საკითხში? ისინი მხარს უჭერენ ამერიკულ პოლიტიკას ამ უკანასკნელის სწორედ იმ ნაწილითურთ, რომელიც დიდ ევროპელებს (ინგლისის გარდა) არ მოსწონთ, სახელდობრ, მისი „ერთმხრივობითურთ“, და ეს ლოგიკურიცაა, ვინაიდან მათ, ამ ევროპელთაგან განსხვავებით, ამერიკელთა გლობალურ გეოპოლიტიკურ წამოწყებებში მონაწილეობის პრეტენზია ვერ ექნებათ, და ამავე დროს ურჩევენ ამერიკელებს პოლიტიკა ისე წარმართონ, რომ სრულად გამოიყენონ მათი (ანუ ამ არაპირველხარისხოვანი ძალის მქონე სახელმწიფოების) ერთგულება და მხარდაჭერა. უფრო მარტივად რომ ვთქვათ: ყველა ურჩევს ტრიუმფის გზით მავალ ახალ მსოფლიო ჰეგემონს, განსაკუთრებული ყურადღება მას მიაპყროს, რათა მისი პოტენციური ერთგულება გამოიყენოს და დაუფასოს.

ქვემოთ მოვიყვანთ რამდენსამე დებულებას ახალგაზრდა ამერიკელი მუსლიმანის, წარმოშობით აზიელის წერილიდან ამ თემაზე, რომელიც ჟ. NEWS WEEK-ს აქვს გამოქვეყნებული სწორედ ერაყის ომის კვირაძალში.

მე-3 გვერდიდან

# ბრიტანული ჟურნალი „ანტიამერიკანიზმის“ შესახებ

ნიდან 35-ში მოსახლეობის უმრავლესობა ამავე აზრისაა. პროამერიკული განწყობილება 2000 წლის აქეთ ცოტ-ცოტათი შემცირებულია დასავლეთ ევროპის ყველა ქვეყანაში. მაგრამ ამერიკელებისადმი „კეთილგანწყობის რეზერვუარი“ ყველგან დიდია, რის გამოც ევროპის „ანტიამერიკანიზმზე“ ლაპარაკი, ჟურნალის აზრით, ძალიან დიდი გაზვიადებაა. კითხვისას „რამდენ ქულას დაუწერდით ამა და ამ ქვეყანას ასი შესაძლებლიდან?“, ექვსი ევროპული ქვეყანა ამერიკელებს უწერს 64-ს, ამერიკელები კი ევროპელებს 55-დან (გერმანიისთვის) 75-მდე (ბრიტანეთისთვის). ჯამში, მაინც ოკეანის გაღმელსა და გამოღმელ ჩვეულებრივ ადამიანებს ერთმანეთი მოსწონთ, ევროპელთა დიდი პროცენტი ეთანხმება ამერიკელების ბრძოლას ტერორიზმის წინააღმდეგ და ერაყს დიდ საშიშროებად თვლის (შესწავლა ჩატარებულია ომამდე), ყველა ევროპელს მოსწონს ამერიკული ტექნიკა, მეცნიერება და პოპულარული კულტურა. გაღმელ-გამოღმელებს ორივეს მოსწონთ თავისი შეიარაღებული ძალები, თანახმანი არიან მათი გამოყენებისა საზღვარგარეთ და მხარს უჭერენ საერთაშორისო ინსტიტუტებს, როგორიც გაეროა. თითქმის ყველა შესწავლილ ქვეყანაში უმრავლესობა ფიქრობს, რომ კარგია, აშშ-ს რომ დღეს მეტოქე არ ჰყავს (რუსეთიც კი ასე ფიქრობს).

თითქოს მოულოდნელია, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ამერიკელთა 80%-ს უნდა, საერთაშორისო ლიდერობა ევროკავშირმა აიღოს თავის თავზე, ხოლო ევროპელთა 60% უნდა, იგი ამერიკელებმა იკისრონ (ეს ე.წ. — პასუხისმგებლობისგან გაქცევა“ მოვლენაა, რედ.). კითხვას „თქვენს ქვეყნებს რა ასხვავებს ამერიკისაგან — სხვადასხვა ღირებულებათა აღიარება თუ სხვადასხვა პოლიტიკური კურსი?“ ევროპელთა, სამხრეთამერიკელთა და მუსლიმანთა დიდი ნაწილი პასუხობს, „პოლიტიკა“ — და ამით, თითქოს, იმის დემონსტრირებას ახდენს, რომ ამერიკელთა და ევროპელთა ღირებულებები ერთი და იგივეა. ამერიკელების ხელისუფლებისათვის ეს ძალიან ხელსაყრელია, რადგან მისი იდეოლოგია ისაა, რომ იგი თავის პოლიტიკაში უნივერსალური ღირებულებების რეალიზაციისკენ მიისწრაფის. მაგრამ, ჟურნალის სიტყვით, ყველას ასე როდი ჰგონია. ჯერ ერთი, ამერიკის ყველაზე მეგობარ მუსლიმან ქვეყნებშიც კი ამერიკა არ უყვართ. მაგალითად, ეგვიპტეში მისდამი კეთილგანწყობილია ადამიანთა 6%, პირიქით კი 69%, იორდანიაში ეს რიცხვებია 25% და 75%. ევროპაშიც კი გარკვეული „კულტურათა შეჯახების“ ნიშნები ჩანს. ასე რომ არ იყოს, ანუ სულისკვეთებათა განსხვავება პოლიტიკურ კურსს რომ ეხებოდეს მართლაც და არა ღირებულებებს, მაშინ ევროპელებს ამერიკელები უფრო ეყვარებოდათ, ვიდრე ამერიკა, მაგრამ ეს ასეა მხოლოდ 14 ქვეყანაში 43 შესწავლილიდან. იმ ევროპელებშიც, რომელთაც ამერიკა მოსწონთ, ნახევარი (ბრიტანეთში) და სამი მეოთხედი (საფრანგეთში) ფიქრობს, რომ ამერიკულ იდეათა და ზნე-ჩვეულებათა გავრცელება ცუდია, დაწუნებულ იდეათა შორის არის ამერიკული წარმოდგენაც დემოკრატიაზე.



ჟურნალი იმოწმებს ბოლო ათწლეულების სოციოფსიქოლოგიურ კვლევებს, საიდანაც ჩანს, რომ ამერიკის მოსახლეობის ცნობიერებაში ტრადიციონალისტურ ღირებულებას (რელიგია, ოჯახი, სამშობლო...) ემტერება და უტევს, ძირითადად, „ცხოვრების ხარისხის“ ღირებულებები, რომლებიც მით უფრო მწვავეა, რაც უფრო უჭირს ადამიანს და მის სოციალურ ფენას. ამ „შეტევას“, ზოგადად დღეს მცირე შედეგები აქვს. ევროპაში (პირველ ყოვლისა, დასავლეთში) ამავე ღირებულებებს უტევს (და უკვე დიდი წარმატებები აქვს მოპოვებული) ე.წ. „თვითგამოხატვის ღირებულებები“, რომლებიც იმაში გამოიხატება, რომ ადამიანს უნდა თავისი ინდივიდუალური თვისებების, თავისი სპეციფიკის გამოხატვა (სხვადასხვა სახის გადახრების, მათ შორის — სექსუალურის ჩათვლით). ამ მხრივ, ჟურნალის აზრით, ბზარი ევროპულ და ამერიკულ სულისკვეთებას შორის ფართოვდება და მოსალოდნელია, მან მომავალში დიდი პოლიტიკური შედეგები განაპირობოს.

## ირანის ერთადერთი მაღაზია

თუ დავუჯერებთ ჟ. TIME-ს, ირანის ისლამურ რესპუბლიკაში ერთადერთი მაღაზიაა, სადაც ქალებს შეუძლიათ იყიდონ მათი გულის გამახარებელი მეტ-ნაკლებად დაგმობილი დეტალები თავისი შიდა ტუალეტისა — ფეშენებელური საცვლები, პერანგები და სხვა ამგვარები, — რომელთაც ორმაგი შეცოდება მოსდევთ: ერთი ის, რომ თვით მათი ბუნება და მათი მასალა არაასკეტურია, მეორე ის, რომ მათ აწერია „MADE IN USA“. ჟურნალის ცნობით, ამ მაღაზიაში მუშტარი არ ილევა თვით იმის მიუხედავადაც კი, რომ ბუშმა ისინი „ბოროტების ღერძ“ ქვეყანათა რიცხვს მიაკუთვნა.



ქალთა გულის გამხარებელი მაღაზია თეირანში

# სამხედრო დახმარება კერძო კომპანიის ინტერესებში

*საქართველოში „გაზპრომის“ კუთვნილი გაზსადენის რუსეთიდან თურქეთში გატარების გეგმამ აქტუალური გახადა მუდამ დისკუსიის პროცესში მყოფი და ვერასოდეს საბოლოოდ ვერგადაწყვეტილი საკითხი იმის თაობაზე, თუ რა უფლება არსებობს და რა ალბათობა არსებობს იმისა, რომ დიდმა ქვეყანამ შეიარაღებული ძალით დახმარება აღმოუჩინოს თავის კერძო ფირმათა და კორპორაციათა საქმიანობას სხვა ქვეყნებში, სადაც მისი ეკონომიკური კომუნიკაციები გადის ან სხვა რამ კანონიერი ეკონომიკური ინტერესები დევს. მკითხველს გავაცნობთ (შემოკლებით) უკვე ძველ მასალას ამერიკელების ერთ-ერთ უკანასკნელ ამგვარ ოპერაციაზე (2002 წ) რომელიც გამოქვეყნებულია ჟ. NEWS WEEK-ში. შევახსენებთ მკითხველს, რომ რუსეთს ტრადიციად აქვს თავის აგრესიულ პოლიტიკაში გაათკეცებული ძალით გამოყენება ძალისმიერი ქვეყნების მიმართ. ასე, მაგალითად, ინგლისისა და საფრანგეთის სამხედრო აქციამ სუეცის არხის ზონაში 1956 წლის შემოდგომაზე რუსეთს საშუალება მისცა მასირებული სამხედრო დარტყმა მიეყენებინა საბჭოთა კავშირის ბატონობის წინააღმდეგ მებრძოლი უნგრეთისათვის.*

„ეროვნული განთავისუფლების არმია“ (EKN) კოლუმბიელი პარტიზანების სიდიდით მეორე დაჯგუფებაა და ამერიკული „ოქციდენტალ პეტროლეუმის“ №1 მტრად ითვლება. იგი აცხადებს, რომ იბრძვის ღარიბი მუშებისა და გლეხების სახელით და მიზნად ისახავს ამ ამერიკულ კომპანიას დააბრუნებინოს იმ სიმდიდრის ნაწილი, რომელიც მან მიითვისა კოლუმბიური ნავთობის სახით. კომპანიის თავის მართლება სოციალური დაბანდების დიდი პროგრამა გვაქვსო, პარტიზანებს არ სჯერათ. მათი მოქმედების ტაქტიკაა შეტევა ნავთობსადენზე, რომელზედაც მათ უკვე 75 აფეთქება მოაწყეს (ზოგი წარმატებული და ზოგი წარუმატებელი). მათი მოქმედების შედეგად კომპანიამ იზარალა 75 მლნ. დოლარი ვერმიღებული მოგებების სახით. გარდა ამისა კოლუმბიის სახელმწიფო დაზარალდა 3 მლრდ. ბარელი ნავთობის დაქცევის შედეგად გარემოს გაფუჭებით და 430 მილიონი დოლარის მოსაკრებლების ვერმოკრებით. ამერიკელებმა ჩაიყვანეს კოლუმბიაში 20 ათასი სამხედრო მოსამსახურე კოლუმბიელთა შეიარაღებული ძალების ინსტრუქტირებისა და მომზადებისათვის, რათა ამ უკანასკნელებმა ნავთობსადენის დაცვა შეძლონ. ამერიკელების დაინტერესება სამხრეთ ამერიკის ნავთობით უზარმაზარია, ვინაიდან მათი იმპორტი არაბული ქვეყნებიდან სამხედრო გართულებების გამო მუდამ რისკის ქვეშ დგას. ეს ამოცანა რიგით მესამე სტრატეგიული ამოცანაა მათთვის, ტერორიზმთან ბრძოლისა და ნარკობიზნესთან ბრძოლის ამოცანების შემდეგ. არსებობს (რა თქმა უნდა!) ეჭვი იმის თაობაზე, თუ რამდენად უფლებამოსილია აშშ ხელისუფლება და რამდენად მიზანშეწონილია, რომ მან გამოიყენოს გადასახადების გადამხდელთა სახსრები და ქვეყნის სამხედრო ძალა იმისთვის, რომ, „ოქციდენტად პეტროლეუმის“ სახით, კერძო კომპანია დაიცვას. მაგრამ კომპანიის პასუხი ასეთია: „რაც კარგია ამ კომპანიისათვის, ის კარგია შეერთებული შტატებისთვისაც და კოლუმბიისთვისაც“.

„არაფერია ახალი იმაში, რომ ამერიკელი ჯარისკაცები თავს ხიფათში იგდებენ ამერიკული კომპანიის დასაცავად, რომელიც ალყაში იმყოფება უცხო ქვეყანაში. გასული საუკუნის დამდეგს საზღვაო ქვეითთა კორპუსის სარდალი გენ. ბატლერი გაგზავნილი იყო კარიბის აუზისა და ცენტრალური ამერიკის რამდენსამე ქვეყანაში ამერიკული ფირმების დასახმარებლად. იგი შემდეგ თავისთავს ახასიათებდა, როგორც „მაღალი კლასის ძლიერ კაცს, რომელიც იცავს დიდ ბიზნესს, უოლსტრიტს და ბანკირებს“. იგივე დინამიკა მუშაობს დღეს კოლუმბიაში. ლიბერალური აქტივისტები მას „კორპორაციული კეთილდღეობის“ პოლიტიკას უწოდებენ, ხოლო ფირმის ვიცე-პრეზიდენტი ამბობს, ეს კოლუმბიის ხელისუფლების გადარჩენის ოპერაციააო. ასეა თუ ისეა, აშშ-ს შეიარაღებული ძალები ჩაბმულნი არიან ამ საქმეში“.

***რედაქციისაგან.*** **ადვილი მისახვედრია, რა გამოყენებას მოუნახავენ ამ ეპიზოდს რუსეთის შეიარაღებული ძალები და მათი სპეცსამსახურები, რომლებიც საქართველოდან სულ რამდენიმე ათეული კმ-ის მანძილზე არიან განლაგებულნი და რომელთაც საქართველოს ტერიტორიაზე გამავალი ნებისმიერი სადენის ტრასაზე დივერსიის მოწყობა დღეს, სამწუხაროდ, თავისუფლად შეუძლიათ.**

# რას ინახავს საიდუმლოდ ქუთაისის მერი?

*წინასაარჩევნო ამპლიტუდამ ზაფხულის მოახლოებასთან ერთად თანდათან მოიმატა. ოპოზიცია, ფსევდოოპოზიცია და პოზიცია ერთნაირად იბრძვის გამარჯვების მოსაპოვებლად, თუმცა ბრძოლის ხერხები აშკარად სხვადასხვაა, ზოგი კანონიერი, წესიერი, ზოგიც ფსევდოკანონიერი და აკრძალული ილეთებით ბრძოლა კი, ალბათ, არჩევნების წინ, გადამწყვეტ ფაზაში, იწყება ხოლმე, როგორც წესი, როცა ხელისუფლება ზემოქმედების ყველა ბერკეტის გამოყენებას ერთიანად იწყებს. ყველა რეგიონი მეტ-ნაკლები ინტენსიურობით განიცდის ამ ზეწოლას. გამარჯვება ვის მხარეს იქნება, ამას ნოემბერი გვიჩვენებს, მანამდე კი მკითხველს ქუთაისის მერთან — ნუგზარ ფალიანთან ინტერვიუს შევთავაზებთ საარჩევნო და არასაარჩევნო საკითხებზე*

**— ბატონო ნუგზარ, ქუთაისი ამ ცოტა ხნი წინ „ჩასაბნელებელი" ქალაქების შავ სიაში მოხვდა. თქვენ პრობლემის მოსაგვარებლად დაუყოვნებლივ ეწვიეთ თბილისს. როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, მიზანს ვერ მიაღწიეთ, პრობლემა ისევ პრობლემად რჩება. დღეს როგორი ვითარებაა?**

— დიახ, უკმაყოფილო ვარ, რადგან ყველა ენერგოკომპანია გაერთიანებულ სადისტრიბუციო კომპანიაში გაერთიანდა, რომელიც თბილისში მდებარეობს. ახლა ამერიკელები შემოვიდნენ, მაგრამ სანუგეშოდ არაფერი შეცვლილა. გენერალურ დირექტორს ვესაუბრე. ჩამობრძანდა ქუთაისში. აქ გვქონდა დისკუსია. ჩვენ ვაყენებთ საკითხს, რომ აუცილებელია, გამრიცხველიანება დაიწყოს, თანდათან კი ქალაქის ხელისუფლების თანადგომაც იქნება-მეთქი. საპასუხოდ მხოლოდ ის გვითხრეს, ქალაქი უნდა გამოირთოსო. საერთოდ, ქუთაისში არსებულმა ცენტრალური სადისტრიბუციო კომპანიის ფილიალმა უნდა უზრუნველყოს თანხის ამოღება, ქალაქის ხელმძღვანელობას ან მოსახლეობას რას ემართლებიან, გაუგებარია. ქალაქი გაუმრიცხველიანებელია და როცა აღრიცხვა არ არის, ძნელია თქმა, რა ხდება. ხალხს გული გატეხილი აქვს. მოსახლეობა გარკვეულ თანხას იხდის, მაგრამ ფული, ალბათ, არ მიდის იქ, სადაც საჭიროა.

**— თქვენ, როგორც ქუთაისის მერი, რას აკეთებთ?**

— აბსოლუტურად არაფერს. ზემოქმედებისათვის ბერკეტები არ გამაჩნია. ჩემი შესაძლებლობები, პრაქტიკულად, ნულის ტოლია. აღშფოთებული მოსახლეობა კი ისევ ჩვენგან ითხოვს პასუხს.

**— სოციალური ფონი ქუთაისში, ქვეყანაში მიმდინარე პროცესებიდან გამომდინარე, ალბათ, სხვა ქალაქებისგან და რაიონებისგან არ განსხვავდება. მარტო ელექტროენერგიის უქონლობაა ქუთაისლებისთვის პრობლემა?**

— ელექტროენერგიის უქონლობა წყლის პრობლემას ქმნის. უკვე მესამე თვეა, მოსახლეობას 14 ლარიანი პენსიაც უგვიანდება, აღარ ვსაუბრობ გაყინულ პენსიებზე. რამე განსაკუთრებული კი აქ ნამდვილად არ ხდება.

**— ქუთაისში არჩევნებისთვს მზადება, როგორც ჩანს, დიდი ხანია, დაწყებულია. თქვენ ცოტა ხნის წინ პრეზიდენტს შეხვდით და აღუთქვით, რომ ამ არჩევნებში მის გვერდით იდგებოდით. გამორიცხული არ არის, რომ ეს ნაბიჯი ზეწოლის გამო გადადგით, წინააღმდეგ შემთხვევაში პრობლემები შეგექმნებოდათ.**

— ზეწოლა პრეზიდენტის მხრიდან არ ყოფილა. მერად ჩემი დანიშვნის საკითხზე ხელი არავის მოუწერია, არც პრეზიდენტს. ხალხმა ამირჩია და ერთადერთმა — ისევ ხალხმა შეიძლება გადამირჩიოს. რაც შეეხება ზეწოლას, ამისა ცოტა სხვებს ეშინოდეთ.

**— მაინც ვის გულისხმობთ?**

— ვინც დანიშნულნი არიან ამ თანამდებობაზე. მე კი პრობლემა არა მაქვს. ქალაქის ინტერესებიდან გამომდინარე გადავდგი ეს ნაბიჯი და მინდა, მაქსიმალურ შედეგს მივაღწიო.

**— ალბათ, ამ მაქსიმალურ შედეგში ახალგაზრდა ჟურნალისტთა ასოციაციის შექმნაც იგულისხმება, არა?! თუმცა იმას, რაც ჩვენ დამფუძნებელ სხდომაზე ვნახეთ, ვინც ნახავდა, უთუოდ იმედგაცრუება შეიპყრობდა. დაზუთხული ტექსტებით მოლაპარაკე სტუდენტები პატაკის ჩაბარების მომენტში მყოფ კომკავშირლებს უფრო ჰგავდნენ, ვიდრე თავისუფალ ჟურნალისტებს. თავისთავად ნათელია, რომ ეს ყველაფერი არჩევნებისთვის გააკეთეთ და უნიჭოდ დადგმული სპექტაკლი იყო.**

— ეს გინდაც არჩევნებისათვის შექმნილიყო, თავისთავად ცუდი არ არის. ერთადერთი მინუსი ის გახლავთ, რომ არჩევნები დამთავრდება და დაიშლებიან.

**— ანუ აღიარებთ, რომ წინასწარ იცით მათი ბედი. არჩევნების შემდეგ დაშლით! არადა ასოციაციის პრეზენტაციაზე სხვაგვარად საუბრობდით. ახალგაზრდა ჟურნალისტებს ხანგრძლივი მოღვაწეობა უსურვეთ...**

— არ დავშლით... არ უნდა დაიშალონ!

**— პრეზენტაციაზე ახალგაზრდები ფინანსური მხარდაჭერისთვის მადლობას გიხდიდნენ. „ფულს ვინც იხდის, მუსიკასაც ის უკვეთავს" — ანუ დღესავით ცხადია, რომ ეს ახალგაზრდები ადვილად მართვადნი იქნებიან!**

— მერიისგან ფინანსური დახმარება არ ექნებათ. ჟურნალის გამოცემა უნდათ და შეიძლება მიზერული თანხით დავაფინანსოთ. მერე კი თვითონ გაიტანენ თავს. ისე, ახალგაზრდებისთვის დახმარება, მგონი, საპატიოა.

**— თუ ეს უანგაროა და მათი საკუთარი მიზნებისთვის გამოყენება არ ხდება, რა თქმა უნდა, კარგია. მაგრამ პირადად მე მრჩება შთაბეჭდილება, რომ ყოველივე ეს პრეზიდენტისთვის მიცემული აღთქმის ერთი პატარა დეტალია მხოლოდ.**

— არავითარი აღთქმა არ მიმიცია პრეზიდენტისათვის. მე რომ დროშა ავაფრიალო და ოპოზიციაში დავდგე, მოგეწონებათ? მეწარმე კაცის სახელით მოვედი აქ... კრიტიკა მოდაშია, საქმის კეთებაა რთული.

**— თქვენ გგონიათ, რომ ოპოზიცია მხოლოდ მოდაა და მეტი არაფერი? ვინც დროშას აფრიალებს, მხოლოდ მოდის გამო აკეთებს ამას?**

— არა, მოდის გამო არა. მე ჩემი მდგომარეობიდან გამომდინარე ვამბობ, როგორც ქალაქის მერი. მაგაზე დროს ვერ დავკარგავ.

**— ე. ი. დარწმუნებული ხართ, ყველაფერი წყლისნაყვაა და მეტი არაფერი, ხელისუფლება მაინც ისე გააკეთებს ყველაფერს, როგორც უნდა და დროის დაკარგვა ტყუილად არ ღირს?**

— არა... ქვეყანაში ოპოზიციაც უნდა იყოს და პოზიციაც. ყველამ თავისი გზა უნდა აირჩიოს.

**— არჩევნების წინ რატომღაც ძალიან მოუხშირეთ თბილისურ ვოიაჟებს. არჩევნების ბედი კანცელარიაში წყდებაო, ამბობენ და...**

— ჩემი ხშირი სტუმრობის მიზეზი არჩევნები სულაც არ არის. ქუთაისს არჩევნების გარდა სხვა პრობლემებიც აწუხებს, რომელიც თბილისში წყდება. რაც მთელს საქართველოს აწუხებს, იგივე აწუხებს ქუთაისსაც. მეც იგივე მდგომარეობაში ვარ, როგორც დანარჩენი მერები. მთელი ზემოქმედების ბერკეტები ცენტრშია წაღებული და მე მოსახლეობისთვის უბრალოდ მოპასუხე ვარ.

**— აკი გეამაყებოდათ, არჩეული მერი ვარო?! მაინც რით განსხვავდება არჩეული მერი დანიშნულისაგან?**

— არაფრით. ერთადერთი სხვაობა ისაა, რომ ცენტრიდან ვერ გაგათავისუფლებენ. შეგიძლია თავისუფლად იმოქმედო.

**— არჩევნების წინ კიდევ ერთი სიახლე — მერების ასოციაციის შექმნა მოიფიქრეთ. ესეც ამომრჩევლის გულის მოსაგებად?**

— ჩვენ დიდი ხანია, ამაზე ვმუშაობთ. ჩემი არჩევის შემდეგ გაჩნდა ეს იდეა. სხვათა შორის, მე მერების მსოფლიო ასოციაციის საბჭოს წევრი ვარ. ამ ასოციაციაში 2600 ქალაქის მერია გაერთიანებული. სამწუხაროდ, მათ შეკრებებზე ვერასდროს მოვახერხე წასვლა.

**— იქ გაწევრიანება როგორღა მოახერხეთ?**

— ჩემს აქ მოსვლამდე ესენი უკვე იყვნენ ასოციაციის წევრები. ეს უბრალოდ მიძინებული საკითხი იყო და მე წამოვწიე წინ. საბჭოს წევრობა კი ჩემს დროს მოხერხდა.

ამ ახალი ასოციაციის შექმნის იდეა კი ბატონი მერაბ ტყეშელაშვილისგან და ჩემგან მოდის. მალე შევიკრიბებით აქ გაწევრიანებული ქალაქის მერები და სამოქმედო პროგრამას შევიმუშავებთ.

**— ბატონო ნუგზარ, მაინც რით მოგწონთ სახელისუფლებო ბლოკი?**

— მე არა ვარ სახელისუფლებო ბლოკში.

**— არა ხართ, მაგრამ საკუთარი ნებით (როგორც თქვენ ამბობთ) მხარს უჭერთ პრეზიდენტს, რომელიც ამ ბლოკს ლობირებს. თუ ერთი მოგწონთ, გამოდის მეორესაც უთანაგრძნობთ.**

— მოდით, ეს საკითხი ღიად დავტოვოთ. ბლოკში არა ვარ.

**— გავიგე, რომ ბლოკში არა ხართ, მაგრამ „ყოფნა-არყოფნა" საკითხავიც სწორედ ეგ არის. თუ ყველაფერს მათი ინტერესის მიხედვით გააკეთებთ, მგონი დიდი მნიშვნელობა აღარ აქვს იმას, სიაში სად იქნებით?!**

— ახლა პოლიტისთვის არ მცალია, მოდით, ამაზე ნუ ვილაპარაკებთ. მე უბრალოდ ჩემი პოზიცია გავაცხადე.

**— ხელისუფლებაში ყოფნა პოლიტიკაში ყოფნას არ ნიშნავს, თქვენი აზრით?**

— კი, ბატონო, მაგრამ არჩევნებში ჩაბმული არა ვარ. ხვალ რა იქნება, რომელ პარტიაში აღმოვჩნდები, წინასწარ ვერ გეტყვით.

**მანანა ლოგუაშვილი**
**ნანა ძველაია**

# აშშ-ს შეიარაღებული ძალები და საქართველო

**წერილი 3. აშშ შეიარაღებული ძალების ორგანიზაცია**

აშშ შეიარაღებული ძალები ადმინისტრაციული ორგანიზაციის მიხედვით შედგება სამი სახეობისგან — სახმელეთო ჯარების (არმია), საჰაერო ძალებისა და საზღვაო ძალებისგან. საზღვაო ძალების შემადგენლობაში შედის საზღვაო ქვეითი ჯარის კორპუსიც, რომელსაც, მისი რიცხოვნებისა და აშშ-თვის დიდი მნიშვნელობის გამო, ხშირად ცალკე სახეობადაც გამოყოფენ ხოლმე. შეიარაღებული ძალების სახეობები შედგება ჯართა გვარეობებისა და სამსახურებისაგან. ჯართა გვარეობებს ეკისრებათ საბრძოლო და საბრძოლო უზრუნველყოფის ამოცანების გადაწყვეტა. სახმელეთო ჯარებში, მაგალითად, საბრძოლო ამოცანებს ასრულებენ ჯავშანსატანკო, მექანიზებული ქვეითი, ქვეითი, სამთოქვეითი (მსუბუქი ქვეითი), საჰაეროსაიერიშო, საჰაერო-სადესანტო ჯარები, საბრძოლო უზრუნველყოფის ამოცანებს — საარტილერიო, სადაზვერვო, რადიოელექტრონული ბრძოლის, კავშირგაბმულობის, ტანკსაწინააღმდეგო, საინჟინრო-მესანგრეთა, საზენიტო, რადიოსალოკაციო, მასობრივი დაზიანების იარაღისგან დაცვის და სხვა ჯარები. საარმიო ავიაცია შესაძლოა წყვეტდეს როგორც საბრძოლო (მოწინააღმდეგის ტანკებთან ბრძოლა), ისე საბრძოლო უზრუნველყოფის ამოცანებს (დესანტების გადასხმა, მებრძოლი მოწინაზედა ჯარებისთვის საავიაციო მხარდაჭერის აღმოჩენა, რადიოელექტრონული ბრძოლა, საჰაერო დაზვერვის წარმოება, საძიებო-საშველო მოქმედებების წარმოება და ა.შ.). ყველა ესენი მიეკუთვნებიან ჯართა გვარეობებს. სამსახურებში შედიან — სამედიცინო, მომარაგების, მომსახურების, სარემონტო, საფინანსო და სხვა.

მიზნობრივი დანიშნულებისა და გადასაწყვეტი ამოცანების ხასიათის მიხედვით, აშშ შეიარაღებული ძალები იყოფა სტრატეგიულ (შეტევით და თავდაცვით) ძალებად, ზოგადი დანიშნულების ძალებად და ჯარებისა და რეზერვების სტრატეგიული გადასროლების ძალებად და საშუალებებად.

სტრატეგიულ შეტევით ძალებში შედის საჰაერო ძალების საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტებისა და სტრატეგიული ბომბდამშენი, სადაზვერვო და ჰაერში საწვავით გამწყობი ავიაციის ესკადრილიები და ავიაფრთები. აგრეთვე საზღვაო ძალების სტრატეგიული წყალქვეშა ნავები მათში განლაგებული ბალისტიკური რაკეტებით. სტრატეგიული კვლევების ლონდონის საერთაშორისო ინსტიტუტის მონაცემებით, 2000 წლის შუახანებში აშშ შეიარაღებაში ნაჩვენები იყო 550 საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტა („მინითმენ-3" და MX „ფასქიფერი"), 208 მოქმედი სტრატეგიული ბომბადმშენი (B-1B, B-52H და B-2A), 83 სტრატეგიული სადაზვერვო თვითმფრინავი (U-2, SR-71, RC-135, E8 და E-9), 65 მართვის თვითმფრინავი (E-3, E-4 და EC-135) და 615-მდე ჰაერში საწვავით გამწყობი თვითმფრინავი (KC-135, KC-10), აგრეთვე „ოჰაიოს" ტიპის 18 სტრატეგიული წყალქვეშა ნავი მათში განლაგებული 430-ზე მეტი ბალისტიკური რაკეტით („ტრაიდენტ D-5" და „ტრაიდენტ C-4"), პლიუს ერთი ყოფილი სტრატეგიული წყალქვეშა ნავი 32 ბალისტიკური რაკეტით „პოსეიდონ C-3".

ზოგადი დანიშნულების ძალებში შედის მთლიანად სახმელეთო ჯარები, აგრეთვე ტაქტიკური საჰაერო ძალები და საზღვაო ძალების უდიდესი ნაწილი. 2000 წლის შუახანებში სახმელეთო ჯარების საბრძოლო შემადგენლობაში შედიოდა 20 საბრძოლო და 12 სასწავლო დივიზია, 17 ცალკეული საბრძოლო ბრიგადა, ოთხი ცალკეული ჯავშანსაკავალერიო პოლკი, საარმიო ავიაციის ხუთი ცალკეული ბრიგადა, 32 ცალკეული საარტილერიო ბრიგადა (42 ლულიანი არტილერიისა და 11 ზერეაქციული სარაკეტო არტილერიის დივიზიონი), შორი მოქმედების საზენიტო სარაკეტო კომპლექსების „პეტრიოტების" ათი დივიზიონი, ახლო მოქმედების საზენიტო სარაკეტო კომპლექსების „ავენჯერი" ათი დივიზიონი, საარმიო ავიაციის 19 ცალკეული ბატალიონი, 37 ცალკეული საინჟინრო ბატალიონი და სხვა ძალები.

ტაქტიკური საჰაერო ძალების შემადგენლობაში იმავე 2000 წელს ნაჩვენები იყო დაახლოებით 30-მდე გამანადგურებელი, 70-მდე გამანადგურებელ-ბომბდამშენი, 15-ზე მეტი მოიერიშე, სამი სადაზვერვო, ორი რადიოელექტრონული ბრძოლის, შვიდი შორეული რადიოსალოკაციო აღმოჩენის, 50 სატრანსპორტო, 60-მდე გამწყობი ესკადრილია და სხვა ერთეულები. ისინი შეყვანილია საავიაციო ფრთებში, დივიზიებსა და საჰაერო არმიებში.

ზოგადი დანიშნულების საზღვაო ძალებში შედის მრავალმიზნობრივი ატომური წყალქვეშა ნავები, ავიამზიდები, კრეისერები, საესკადრო ნაღმოსნები, ფრეგატები, ზღვაში სანაღო ომის წარმოებისა და სადესანტო-ამფიბიური ხომალდები, კატარღები, დამხმარე გემები, 11 საავიამზიდო საგემბანო ავიაფრთა (12 გამანადგურებელი, 24 გამანადგურებელი-ბომბდამშენი, 14 რადიოელექტრონული ბრძოლის, 12 საზღვაო სადაზვერვო, ათი ნავსაწინააღმდეგო ბრძოლის და სხვა ესკადრილიები), საზღვაო ქვეითი ჯარის ოთხი საექსპედიციო დივიზია, 23 გამანადგურებელი-მოიერიშე, შვიდი გამანადგურებელი, ოთხი რადიოელექტრონული ბრძოლის, შვიდი გამწყობი ესკადრილიები, დამრტყმელი, ზოგადი დანიშნულებისა და სატრანსპორტო ვერტმფრენების ერთეულები და ა.შ.

მათ შეიარაღებაში 2000 წლის მონაცემებით, შედიოდა 8300-ზე მეტი საბრძოლო ტანკი M-1A1/A2 „აბრამსი", 7110 ქვეითთა საბრძოლო მანქანა M-2/3, LAV, AAV-7A1, 7000-ზე მეტი საველე საარტილერიო სისტემა (მათგან 2430-მდე ბუქსირებადი და 2510-ზე მეტი თვითმავალი ჰაუბიცა, 1075 ზალპური ცეცხლის რეაქციული სისტემა MLRS, 900-ზე მეტი 120-მმ ნაღმსატყორცნი), პლიუს 930-ზე მეტი 81-მმ ნაღმსატყორცნი (ყველა 1075 MLRS დანადგარს შეუძლია ATAMCMS ტიპის ოპერაციულ-ტაქტიკური რაკეტების გაშვებაც), 10 ათასამდე მძიმე და 21 ათასზე მეტი მსუბუქი ტანკსაწინააღმდეგო სარაკეტო კომპლექსი, 6785 ვერტმფრენი (მათგან 2045 შეიარაღებული AH-1S/T, AH-64A/D, AH-6/MH-6, OH-58D), 4990-მდე ტაქტიკური საბრძოლო თვითმფრინავი, 1600-ზე მეტი მობილური საზენიტო სარაკეტო კომპლექსი („პეტრიოტი", „ავენჯერი", „ლაინბეიქერი") და დიდი რაოდენობით გადასატანი საზენი-

| | შეიარაღებული ძალები | სახმელეთო ჯარები | საჰაერო ძარები | საზღვაო ძალები | საზღვაო ქვეითი ჯარი |
|---|---|---|---|---|---|
| რეგულარული | 1365800 | 471000 | 353600 | 370700 | 169800 |
| მზადმყოფი რეზერვი | 1181700 | 728200 | 180300 | 178200 | 95000 |
| მათგან: | | | | | |
| ეროვნულ გვარდიაში | 456600 | 350000 | 106600 | — | — |
| რეზერვში | 725100 | 378200 | 73700 | 178200 | 95000 |

გაგრძელება მე-6 გვ.

# აშშ-ს შეიარაღებული ძალები და საქართველო

მე-5 გვერდიდან

ტო სარაკეტო კომპლექსი „ასთინგერი“, 55 მრავალმიზნობრივი ატომური წყალქვეშა ნავი, 135 მსხვილი წყალზედა საბრძოლო ხომალდი (13 ავიამზიდი, 27 კრეისერი, 52 საესკადრო ნაღმსატყორცნი, 43 ფრეგატი), 42 ნაღმებზე მონადირე და ტრაილერი, 45 საზღვაო-სადესანტო ხომალდი, 220-ზე მეტი საპატრულო და სადესანტო კატარღა და ა.შ.

სამობილიზაციო და საბრძოლო მზადყოფნის მიხედვით აშშ შეიარაღებული ძალები იყოფა რეგულარულ ძალებად და მზადმყოფ (ორგანიზებულ) რეზერვად. ამ უკანასკნელში შედის ეროვნული გვარდიისა და შეიარაღებულ ძალთა სახეობების შენაერთები და ნაწილები. ეროვნული გვარდია გააჩნიათ მხოლოდ სახმელეთო ჯარებს და საჰაერო ძალებს, რეზერვი კი, ამათზე დამატებით, საზღვაო ძალებსაც (საზღვაო ქვეითთა კორპუსის ჩათვლით). 2000 წელს აშშ რეგულარულ შეიარაღებულ ძალებში შედიოდა პირადი შემადგენლობის 1365800 ადამიანი, მზადმყოფ რეზერვში — 1181700, მათგან ეროვნულ გვარდიაში — 456600 და რეზერვში — 725100 ადამიანი. მათი განაწილება შეიარაღებულ ძალთა სახეობების მიხედვით ნაჩვენებია ცხრილში.

თავად სახელიდანაც ჩანს, რომ რეგულარული შეიარაღებული ძალები ხასიათდება უფრო მაღალი მზადყოფნითა და ბრძოლისუნარიანობით მზადმყოფ რეზერვთან შედარებით. ამიტომ რეგულარულ ძალებში თავმოყრილია სახმელეთო ჯარების, საჰაერო ძალებისა და საზღვაო ძალების ის შენაერთები და ნაწილები, რომელთა გამოყენებასაც ამერიკული სარდლობა ვარაუდობს დაუყოვნებლივ კრიზისულ სიტუაციების წარმოქმნის შემთხვევაში, ან რომელთა პირადი შემადგენლობის თავის სამხედრო-სააღრიცხვო სპეციალობაში დაოსტატებისა და რთული სამხედრო ტექნიკის ათვისებისთვის საჭიროა უფრო ინტენსიური მომზადება და ვარჯიშები. შესაბამისად, დღესდღეობით მზადმყოფი რეზერვის ყველაზე მეტი ხვედრითი წილი მოდის სახმელეთო ჯარებზე, სადაც იგი რიცხობრივად აღემატება რეგულარული არმიის პირად შემადგენლობას. ეს აიხსნება იმით, რომ ცივი ომის დასრულების, ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციისა და საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ევროპაში მსხვილმასშტაბიანი ომის საშიშროება მკვეთრად შემცირდა, ამიტომ უწინდელი რეგულარული დივიზიების ნაწილი ან გააუქმეს, ან კიდევ არმიის ეროვნული გვარდიის შემადგენლობაში გადაიყვანეს. საჰაერო ძალებს და სამხედრო-საზღვაო ფლოტში რთული ტექნიკის მომსახურების პირობებიდან გამომდინარე, რეგულარული ძალები რიცხოვნებით დაახლოებით 2-ჯერ აღემატება მზადმყოფ რეზერვს. საზღვაო ქვეითი ჯარის კორპუსი აშშ ხელმძღვანელობისთვის წარმოადგენს არა მხოლოდ მსხვილმასშტაბიან ომში, არამედ ე.წ. „მესამე მსოფლიოს“ ქვეყნების შინაურ საქმეებში ჩარევის მნიშვნელოვან იარაღს, ამიტომ ცივი ომის დასრულების შემდეგ მას თითქმის არ შეეხო შემცირების პროცესი — კვლავინდებურად ოთხი საექსპედიციო დივიზია, ხოლო რეგულარულ ძალებსა და მზადმყოფ რეზერვში პირადი შემადგენლობის 264800 ადამიანი ცივი ომის მიწურულის დროინდელი 282200-ის ნაცვლად. თავისთავად ცხადია, რომ საზღვაო ქვეითთა კორპუსშიც რეგულარული ძალები რიცხოვნებით თითქმის 2-ჯერ აღემატება მზადმყოფ რეზერვს.

რეგულარულ შეიარაღებულ ძალებში საბრძოლო მომზადება წარმოებს კვირაში ხუთი დღის განმავლობაში — ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით. შაბათს ნახევარი დღე ეთმობა სპორტულ ღონისძიებებს ან შეიარაღებისა და ტექნიკის მომსახურებას, ხოლო შემდეგი დღენახევარი სამხედრო მოსამსახურეებს თავისუფალი დრო აქვთ. ეროვნული სამხედრო მოსამსახურეები კვირის განმავლობაში ცხოვრობენ თავიანთ სახლებში, მუშაობენ ან სწავლობენ სამოქალაქო დაწესებულებებში და მხოლოდ ერთ დღეს, უპირატესად შაბათს, გადიან ოთხსაათიან სამხედრო მომზადებას. გარდა ამისა, ზაფხულობით ისინი გადიან ორკვირიან საბანკო შეკრებებს. საბრძოლო მომზადების ასეთი სისტემის გამო ეროვნული გვარდიის შენაერთები, მაგალითად დივიზიები, რომელიმე თითო პუნქტში კი არაა დისლოცირებული, არამედ წვრილი ქვედანაყოფების — ასეულების, ოცეულების სახით გაშლილია ერთი ან ორი შტატის ტერიტორიაზე. ამიტომ ეროვნული გვარდიის ბატალიონებში, ბრიგადებსა და დივიზიებში ინდივიდუალურ ან მცირე ქვედანაყოფებში მოქმედებებთან შედარებით მნიშვნელოვნად მოიკოჭლებს ქვედანაყოფების საბრძოლო შეთანხმება. ამ მაჩვენებლით და, შესაბამისად საბრძოლო მზადყოფნითა და ბრძოლისუნარიანობით ეროვნული გვარდიის დივიზიები და ცალკეული ბრიგადები მკვეთრად ჩამოუვარდებიან რეგულარული ჯარების შენაერთებსა და ნაწილებს.

ცივი ომის პირველ ნახევარში „მეწინავე ბაზირების“ სტრატეგიული კონცეფციიდან გამომდინარე, დასავლეთ ევროპასა და ჩრდილო-აღმოსავლეთ აზიაში განლაგებული ამერიკული ჯარები შეადგენდნენ საბჭოთა კავშირის „შეკავების“ პირველ სტრატეგიულ ეშელონს, აშშ კონტინენტურ ნაწილში დისლოცირებული რეგულარული შეიარაღებული ძალების შენაერთები და ნაწილები — გაძლიერების ჯარების პირველ ეშელონს, ხოლო ეროვნული გვარდიისა და რეზერვის ჯარები — გაძლიერების მეორე სტრატეგიულ ეშელონს.

1973 წლის შემდეგ აშშ შეიარაღებული ძალები გადავიდა ნებაყოფლობით კონტრაქტის საფუძველზე მოხალისეთაგან დაკომპლექტების პრინციპზე. ამის პარალელურად მზადმყოფი რეზერვის შენაერთებისა და ნაწილების საბრძოლო მზადყოფნისა და ბრძოლისუნარიანობის მიხედვით რეგულარულ ჯარებთან დაახლოების მიზნით შემოიღეს „ერთიანი ძალების“ კონცეფცია. მის თანახმად, კერძოდ, არმიის ეროვნულ გვარდიაში პროგრამა „ქეთსთოუნის“ ფარგლებში დაიწყეს „რაუნდ-აუთ“ და „ჩაუნდ-აფ“ ცალკეული საბრძოლო ბრიგადების ჩამოყალიბება. ვთქვათ, რეგულარული სახმელეთო ჯარების დივიზიაში მშვიდობიანობის დროს სამის ნაცვლად შედიოდა ორი ბრიგადა. კრიზისულ სიტუაციებში მას სასწრაფოდ დააკომპლექტებდნენ სრულად ეროვნული გვარდიის „რაუნდ-აუთ“ ტიპის ბრიგადით და გადაისროდნენ ოპერაციული დანიშნულების ადგილას.

აშშ სახმელეთო ჯარებში 1991 წელს შედიოდა 26 დივიზია (ხუთი ჯავშანსატანკო, რვა მექანიზებული ქვეითი, ექვსი ქვეითი, ხუთი მსუბუქი ქვეითი, თითო-თითო საჰაერო-საიერიშო და საჰაერო-სადესანტო), 29 ცალკეული ბრიგადა (შვიდი ჯავშანსატანკო, ცხრა მექანიზებული ქვეითი, ერთი მოტორიზებული ქვეითი, რვა ქვეითი, ოთხი მსუბუქი ქვეითი), საარმიო ავიაციის ცხრა ცალკეული ბრიგადა, 27 ცალკეული საარტილერიო ბრიგადა, ოპერაციულ-ტაქტიკური რაკეტა „ლანსების“ შვიდი ცალკეული დივიზიონი, 34 ცალკეული საზენიტო სარაკეტო და საარტილერიო დივიზიონი, 14 ცალკეული საარტილერიო და 120-მდე ცალკეული საინჟინრო ბატალიონი.

ჯავშანსატანკო და მექანიზებული ქვეითი დივიზიები მიეკუთვნება ე.წ. „მძიმე“ დივიზიებს და წარმოადგენს ბრძოლის ველზე ძირითად დამრტყმელ ძალას. 13 მძიმე დივიზიიდან ცხრა 1990-იანი წლების დასაწყისში შედიოდა რეგულარული სახმელეთო ჯარების შემადგენლობაში, ოთხი — ეროვნული გვარდიისა, ხუთი მსუბუქ ქვეითი დივიზიიდან ოთხი ასევე შედიოდა რეგულარული ჯარების შემადგენლობაში, ასევე საჰაერო-საიერიშო და საჰაერო-სადესანტო დივიზიები. სამაგიეროდ ეროვნულ გვარდიაში იყო ქვეითი დივიზიების დიდი რაოდენობა — ექვსიდან ხუთი, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ქვეით ჯარებში პროფესიონალიზმის საჭირო დონის დაუფლებას არ სჭირდება ისეთი ინტენსიური სწავლებები და იმდენი დრო, რამდენიც სხვა ტიპის დივიზიებში.

ამერიკული გამოცდილების საპირისპიროდ, როდესაც საქართველოში უპირატესად ქვეითი ჯარების მშენებლობაზე ლაპარაკობენ, აქვე საჭიროდ მიიჩნევენ, კონტრაქტით მომსახურე მოხალისე პროფესიონალებისგან დაკომპლექტებული ნაწილების შექმნას, როდესაც აშშ არმიის მზადმყოფ რეზერვში ამისთვის ცივი ომის პერიოდში კვირაში ოთხსაათიან სამხედრო მომზადებას ჯერდებოდნენ. ესეც საკმარისი არ იყო, მაგრამ ვფიქრობთ, რომ 1,5 წლით სავალდებულო სამსახურში გაწვევა და ამის ხარჯზე ჯარების რიცხოვნების გაზრდა ჩვენთვის უფრო ეფექტური იქნებოდა.

მზადმყოფი რეზერვის 23 ცალკეული საბრძოლო ბრიგადიდან ექვსი იყო „რაუნდ-აუთ“ დანიშნულების (ერთი ჯავშანსატანკო, სამი მექანიზებული ქვეითი და ორიც მსუბუქი ქვეითი).

საჰაერო ძალების მთელი სტრატეგიული კომპონენტი ცივი ომის პერიოდში შედიოდა რეგულარულად შეიარაღებულ ძალებში. ტაქტიკური საბრძოლო ავიაციის 24 ფრთა (94 ავიაესკადრილია) შედიოდა რეგულარულ ძალებში, 23 ფრთა (92 ავიაესკადრილია) შედიოდა საჰაერო ძალების ეროვნულ გვარდიაში და 21 ფრთა (57 ესკადრილია) — საჰაერო ძალების რეზერვში. საერთო ჯამში, აშშ ტაქტიკურ საჰაერო ძალებში მოითვლებოდა 13 გამანადგურებელი, 66 გამანადგურებელ-ბომბდამშენი, 34 მოიერიშე, რვა სადაზვერვო ავიაესკადრილია და სხვა ძალები.

რეგულარული საზღვაო ძალების შემადგენლობაში შედიოდა 34 სტრატეგიული და 86 ტაქტიკური ატომური წყალქვეშა ნავი, 207 მსხვილი წყალზედა საბრძოლო ხომალდი, 28 ტრილური, 65 მსხვილი სადესანტო ხომალდი, 13 საგემბანო საავიაციო ფრთა, ფლოტის რეზერვში კი — 18 წყალზედა საბრძოლო ხომელდი, 16 ტრაილერი, სამი სადესანტო ხომალდი, ხუთი საავიაციო ფრთა (ორი მოიერიშე, ორი საზღვაო სადაზვერვო და ერთიც სავერტმფრენო).

საზღვაო ქვეითთა კორპუსში შედიოდა რეგულარული ჯარების სამი დივიზია და რეზერვის ერთი დივიზია, აგრეთვე სხვა ძალები.

ცივი ომის დასრულების შემდეგ ჯარებისა და შეიარაღებათა შემცირების პარალელურად დაიწყეს მზადმყოფ რეზერვში რეგულარული ძალების ნაწილის გადაყვანა. 2000 წლის მონაცემებით, სტრატეგიული ბომბდამშენი ავიაციის 14 ესკადრილიიდან სამი შედის მზადმყოფ რეზერვში, სახმელეთო ჯარებში ეროვნულ გვარდიაში გაზარდეს ჯავშანსატანკო და მექანიზებული დივიზიების ხვედრითი წილი (ხუთი „მძიმე“ დივიზია 11-დან), საზღვაო ძალებში ერთი ავიამზიდი გადაიყვანეს რეზერვში ტაქტიკური ესკადრილია, საჰაერო ძალებში რეგულარულ კომპონენტში ნაჩვენები იყო 57 საბრძოლო ავიაესკადრილია, მზადმყოფ რეზერვში კი — 58. ცვლილებები არ შეხებია საზღვაო ქვეითი ჯარის კორპუსს, რომელსაც აშშ სარდლობა აქტიურად იყენებს „მესამე მსოფლიოს“ ქვეყნების შინაგან საქმეებში ჩასარევად და იქ კვლავინდებურად დატოვეს ოთხი საექსპედიციო დივიზია.

**ირაკლი ხართიშვილი**

# ჩრდილოეთ კორეის რეაქტორის პროგრამა გრძელდება




ჩრდილოეთი კორეა გარეშე დახმარებით აშენებს ორ ბირთვულ რეაქტორს იმის სანაცვლოდ, რომ იგი თანახმაა შეწყვიტოს სხვა რეაქტორის აგებაზე მუშაობა, რომელიც უფრო სახიფათოდაა მიჩნეული ბირთვული იარაღის შექმნის თვალსაზრისით. სამუშაოს აწარმოებს „კორეის ნახევარკუნძულის ენერგეტიკული განვითარების ორგანიზაცია“, რომელსაც მეთაურობს აშშ და რომლის მონაწილენი არიან სამხრეთი კორეა, იაპონია და ევროკავშირი. სამხრეთ კორეის ხელისუფლებამ თანხმობა განაცხადა, 4,6 მილიარდი დოლარით მონაწილეობა მიიღოს ამ პროგრამის დაფინანსებაში.

ჟ. EIR

# როგორ ავიცილოთ დაავადებები და ნაადრევი სიკვდილი სწორი კვებით

ჩინური და ტიბეტური მედიცინის მიხედვით თითქმის ყველა დაავადება და ადამიანთა ნაადრევი სიკვდილიანობა არასწორი კვებითაა გამოწვეული.

უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ერთ მილებაზე რა შემადგენლობის საკვებს მივიღებთ ერთად. საქმე იმაში მდგომარეობს, რომ საკვების გარკვეულ სახეობაზე ორგანიზმში გამომუშავდება გარკვეული შემადგენლობის საჭმლის მომნელებელი წვენები, რომლებიც ყველაზე ეფექტურად გადაამუშავებენ მოცემულ პროდუქტს. შერეული კვებისას კი ხშირად ხდება სხვადასხვა პროდქტების ისეთი შერწყმა, როდესაც საკვები პროდუქტის ერთი სახეობა ხელს უშლის მეორის ათვისებას, ეს კი იწვევს საჭმლის მონელების დარღვევას, საჭმლის მომნელებელი სისტემების მთელ რიგ დაავადებებს და ინტოქსიკაციას — ორგანიზმში შხამების დაგროვება-განვითარებას. ქვემოთ მოყვანილ სქემებში მოცემულია თუ რომელი სახეობის საკვები შეიძლება მივიღოთ ერთად და რომლის მიღება ერთად კატეგორიულად არ შეიძლება:

**ცხრილი**

**I ჯგუფი**

ხორცი, თევზი, კვერცხი, სოკო, პარკოსნები (ლობიო, ბარდა და ა.შ.), ბადრიჯანი, თხილი, კაკალი, მზესუმზირა.

**II ჯგუფი**

მწვანილი, ხილი, ხილის ჩირი, ბოსტნეული, ხილის წვენები, კენკრა (მოცვი, მაყვალი, მარწყვი), საზამთრო, მშრალი ღვინო.

**III ჯგუფი**

პური, კარტოფილი, შაქარი, კომპოტი, მურაბა, თაფლი.

შეიძლება

შეიძლება

არ შეიძლება

სქემის მიხედვით I და II ჯგუფის, II და III ჯგუფის პროდუქტები შეიძლება მივიღოთ ერთად, ხოლო I და III ჯგუფის პროდუქტების ერთად მიღება არ შეიძლება. ისინი უნდა მივიღოთ ერთი ჯგუფის (I ან III) პროდუქტების მიღებიდან გარკვეული დროის გასვლის შემდეგ. თუკი ყოველდღიურ ცხოვრებაში ვისარგებლებთ ზემოთ აღნიშნული სქემით — შეგვიძლია ბევრი დაავადება ავიცილოთ თავიდან სწორი კვების შედეგად. კვებასთან დაკავშირებით უნდა დავიმახსოვროთ აღმოსავლური მედიცინის შემდეგი სასარგებლო რჩევები:

1. ხორცთან პურის მიტანება — დაუშვებელია. პური უნდა მივიღოთ არაუადრეს ერთი საათისა ხორცის მიღების შემდეგ (დასაბუთება: ხორცი — ცილოვანი პროდუქტია, პური — ნახშირწყლოვანი. ცილების და ნახშირწყლების ერთმანეთთან შერევით საჭმლის მონელება ირღვევა).

2. კვერცხი — „იგივე“ ხორცია. მისი მიღება პურთან ერთად არ შეიძლება.

3. რძესთან პურის მიტანება — არ შეიძლება. (დასაბუთება: რძე საერთოდ დაუშვებელია რაიმე სხვა პროდუქტთან ერთად მივიღოთ. რძე — ეს საჭმელია და არა სასმელი. რძის პროდუქტები მიეკუთვნება ცილოვან ჯგუფს და ისინი უნდა მივიღოთ მცირე რაოდენობით. დიდი რაოდენობით ცილების მიღება იწვევს ლპობით რეაქციებს და წამლავს სისხლს).

4. კარტოფილი — ხორცზე და კვერცხზე უკეთესია, მაგრამ ის უნდა მივიღოთ მცირე რაოდენობით. (დასაბუთება: კარტოფილში შემავალი სახამებელი არ იხსნება არც წყალში, არც სპირტში, არც ეთერში. ეს უხსნადი ნაწილაკები ხვდებიან სისხლის მიმოქცევის სისტემაში და ანაგვიანებენ მას, შემდგომ კი მთელ ორგანიზმს, განსაკუთრებით მსხვილ ნაწლავს).

5. უმი ბოსტნეული ორგანიზმის ერთგვარი გამწმენდი და შხამების გამაუვნებელია. იგი „მიეპარება“ ორგანიზმში დალექილ შხამებს და თანდათანობით გამოაძევებს ორგანიზმიდან.

6. ხილის და ხილის წვენების დესერტის სახით მიღება არ შეიძლება. ყველა ხილი სასარგებლოა, თუ მათ მივიღებთ როგორც დამოუკიდებელ საკვებს. (დასაბუთება: ერთად მიღებისას ხილი და ხილის წვენები უკავშირდებიან რა თითქმის ყველა საკვებ პროდუქტს, იწვევენ ნაწლავში დუღილის პროცესებს. წვენები უმჯობესია, დავლიოთ და ხილი მივიღოთ ჭამიდან 2-3 საათის შემდეგ).

7. ხილის წვენები არ უნდა გავყინოთ (დასაბუთება: ირღვევა მათი სტრუქტურა).

8. ნესვი — შესანიშნავი საკვებია, მაგრამ არცერთ პროდუქტს არ ერწყმება.

9. თაფლი უნდა მივიღოთ მცირე რაოდენობით (1-2 ჩაის კოვზი), მხოლოდ მშიერ კუჭზე.

10. ყველა სოკო ჯანმრთელობისათვის მავნეა (დასაბუთება: სოკოს ცილები ადამიანის ცილების არაადეკვატურია).

11. წყაროს წყალი დასალევად სასიამოვნოა, მაგრამ ხშირი მიღება ორგანიზმისთვის მავნეა. (დასაბუთება: წყაროს წყალში ბევრია მარილები, რომლებიც მისი მიღებისას ორგანიზმში დაილექება).

12. მოერიდეთ კონსერვირებული ხილის და ბოსტნეულის მიღებას. უმჯობესია გამომშრალი ხილი და ბოსტნეული.

13. მოერიდეთ ჭამის დროს წყლის დალევას. (დასაბუთება: წყლის ჭარბი რაოდენობა ათხიერებს კუჭის წვენს და არღვევს მის ფუნქციას. წყალი უნდა დავლიოთ ჭამიდან 1 საათის შემდეგ ან ჭამამდე 1 საათით ადრე).

14. კვირაში ერთი დღე უარი უნდა ვთქვათ საკვებზე, ვსვათ მხოლოდ წყალი. საერთოდ წყალი უნდა ვსვათ მცირე ყლუპების სახით და არა ერთბაშად.

15. ნოყიერი სადილის შემდეგ ზურგზე ნუ დაწვებით, რადგანაც ამ დროს თორმეტგოჯა ნაწლავი იკუმშება, ზედმეტად იტვირთება, ხდება ნაღვლის უკუგადაქცევა. ამას კი მოჰყვება საყლაპავი მილის ანთება, გასტრიტი და კუჭ-ნაწლავის სხვა მოშლილობანი.

**შ. საბახტარიშვილი.**
**სამკურნალო წიგნი, ტ. I,**
**თბილისი, 1997.**

**როგორ შეგვათრიეს «ესენგეში»?!**

მე-2 გვერდიდან

# საქართველოს პარლამენტის 1994 წლის 1 მარტის სხდომის ოქმი

## საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე სამარცხვინო დოკუმენტი

დურასთან დაკავშირებით მომეცით სიტყვა.

**თავმჯდომარე.** რამდენს უნდა მივცე პროცედურასთან... თქვი. მარტო ერთ კაცს ვაძლევ ოპოზიციიდან სიტყვას პროცედურაზე. მე-3.

**თ.ჟორჟოლიანი.** ბატონო ვახტანგ, შესვენებამდე მინდოდა პროცედურის შესახებ მეთქვა რამ-



დენიმე სიტყვა. რადგან პარლამენტმა გადაწყვიტა, რომ კენჭისყრა იყოს, არის ასეთი წინადადება, ჩვენი მხრიდან, რომ ინდივიდუალურად იქნეს ამოკითხული თითო პიროვნება, კი ან არა.

**თავმჯდომარე.** კი ბატონო.

**თ.ჟორჟოლიანი.** ან ბიულეტენებით გავაკეთოთ.

**თავმჯდომარე.** არა, არ უნდა.

**თ.ჟორჟოლიანი.** ნორმალურად გამოიძახეთ სიის მიხედვით და ვუპასუხოთ პირდაპირ. ასე აჯობებს.

**თავმჯდომარე.** შესვენება 5 წუთი.

**ვ.რჩეულიშვილი.** 5 წუთი არის შესვენება. უმრავლესობის არც ერთი წევრი არ გავიდეს დარბაზიდან. 5 წუთში იქნება კენჭისყრა და უმრავლესობის არც ერთი წევრი არ გავიდეს დარბაზიდან.

**ლ.შაკიაშვილი.** მიტინგების დარბევით მიბრძანდებით ამერიკაში, ბატონო ედუარდ. მიტინგების დარბევით მიბრძანდებით კლინტონთან და „სნგ"-ში...

**ვ.რჩეულიშვილი.** გამორთეთ მე-4 მიკროფონი, გამორთეთ. უმრავლესობის არც ერთი წევრი არ... 5 წუთში ვიწყებთ კენჭისყრას.

**თავმჯდომარე.** 5-თი არა, 4 წუთი დარჩა.

**ვ.რჩეულიშვილი.** 4 წუთი დარჩა.

**თავმჯდომარე.** რომ ამოიბეჭდება სია, წაგიკითხავთ, დარბაზიდან არავინ არ გავა და ყველა აჩვენებს თავის საბუთს.

*შესვენების შემდეგ.*

სხდომას თავმჯდომარეობს საქართველოს პარლამენტის სპიკერი ვ. გოგუაძე.

**თავმჯდომარე.** გთხოვთ, დაბრძანდეთ. (კამათი დარბაზში).

**ვ.რჩეულიშვილი.** გთხოვთ, დაიკავოთ ადგილები. 6 წუთი გავიდა. ჩართეთ კენჭისყრა, ჩართეთ.

**თავმჯდომარე.** გთხოვთ, მოვემზადოთ.

**ვ.რჩეულიშვილი.** დაიკავეთ ადგილები.

**თავმჯდომარე.** გთხოვთ დაიკავოთ ადგილები.

**ვ.რჩეულიშვილი.** სახელობითი იყოს თუ არა კენჭისყრა?

**თავმჯდომარე.** სახელობითი. გთხოვთ მოემზადოთ კენჭისყრისათვის. პროცედურასთან დაკავშირებით ერთ კაცს ეძლევა სიტყვა, რომელმაც აიღო ტაიმ-აუტი. გთხოვთ ბატონო გია.

**გ.კობახიძე.** ფრაქცია „ეროვნულ-დემოკრატის" სახელით პროცედურასთან დაკავშირებით მინდა გავაკეთო ერთი განცხადება.

აქ საკითხი ისმება ისე, რომ დადებითად ვუყაროთ კენჭი თუ უარყოფითად „სნგ"-ს წესდებასთან შეერთებას. მაგრამ იყო კიდევ სხვა წინადადებაც, კერძოდ, მხედველობაში მაქვს ქალბატონ ირინა სარიშვილის მიერ შემოტანილი წინადადება.

საქმე ეხებოდა შემდეგს, რომ კენჭისყრის საკითხი გადაგვედო შემდგომისათვის. ჩვენი წინადადებაა, ხომ არ აჯობებს გადავდოთ კენჭისყრა შემდეგისათვის, პირველ რიგში ამას ვუყაროთ კენჭი.

მეორე საკითხი. ქალბატონმა ირინა სარიშვილმა გააკეთა განცხადება მისი პარლამენტში მუშაობის კანონიერებასთან დაკავშირებით. ეს ლიტონი სიტყვები რომ არ არის, ამას უერთდება ჩვენი ფრაქციაც და ქალბატონი ირინე გადადგამს ამ ნაბიჯს, რომ გავიდეს პარლამენტის შემადგენლობიდან დღესვე, თუ...

**თავმჯდომარე.** არა. (ხმაური დარბაზში).

**გ.კობახიძე.** ეს არ არის კანონის დაცვა. მე მაშინ ცალ-ცალკე ჩავთვლი იმ პირებს, რომლებსაც არა აქვთ უფლება შეითავსონ ეს თანამდებობა და მათ თვალი-თვალში გამისწორონ და აღიარონ როგორ გრძნობენ თავს,...

**თავმჯდომარე.** გასაგებია.

**გ.კობახიძე.** რამდენად სინდისიერად გრძნობენ თავს, რომ მონაწილეობა მიიღონ ამ კენჭისყრაში.

**თავმჯდომარე.** მოვემზადოთ კენჭისყრისათვის.

**გ.კობახიძე.** ბატონო ვახტანგ, საერთოდ გრცხვენოდეთ ყველაფრისათვის. იმიტომ, რომ მაწყვეტინებთ სიტყვას.

**თავმჯდომარე.** ეს ვნახოთ, ვის უნდა რცხვენოდეს ამის... მოითმინეთ. ახლა მოვემზადოთ კენჭისყრისათვის.

ბატონებო, მე მინდა გავაფრთხილო ყველა. დღეს სხვისი პულტის გამოყენებაზე ზედმეტია ლაპარაკი. ვინც არის მომხრე, მე მგონი სათამაშო აქ არაფერი არ არის და ამიტომ... ჯერ სახელობით კენჭისყრას ჩავატარებთ და მერე ამოვიკითხავთ სიას. ყველანაირად შეჯერებულია ეს ჩვენი განწყობილება? (ხმაური დარბაზში.) ამიტომ გთხოვთ, ვინ არის მომხრე, რომ სახელობითი იყოს კენჭისყრა.

*ხმა დარბაზიდან.* რეგისტრაცია.

**თავმჯდომარე.** რეგისტრაცია გავლილია. გთხოვთ მოემზადოთ კენჭისყრისათვის.

**ვ.რჩეულიშვილი.** ჩართეთ.

**თავმჯდომარე.** ჩავრთოთ. მე მგონი ოპოზიციაც თანახმა არის.

**ვ.რჩეულიშვილი.** მიმდინარეობს კენჭისყრა.

**თავმჯდომარე.** მიმდინარეობს კენჭისყრა.

*(კამათი დარბაზში).*

**თავმჯდომარე.** სახელობითი რომ იქნება, შემდეგ ამოვიკითხავთ სიას.

**ვ.რჩეულიშვილი.** ინდივიდუალურად, გვარებით ამოვიკითხავთ.

*(ხმა დარბაზიდან).*

**ვ.რჩეულიშვილი.** ვიცით, ვიცით, რომ გავიდა, დამთავრდეს ბარემ.

**თავმჯდომარე.** ბატონო დეპუტატებო, ვინ არის მომხრე შეუერთდეს საქართველო თანამეგობრობის წესდებას. (ხმაური დარბაზში). სიას წავიკითხავთ თქვენი თანდასწრებით. გთხოვთ მოემზადოთ კენჭისყრისათვის. (ყვირილი დარბაზში).

**ვ.რჩეულიშვილი.** ჩართეთ, ჩართეთ.

*(ხმა დარბაზიდან).*

**თავმჯდომარე.** მოემზადეთ.

*(ყვირილი დარბაზში).*

**თავმჯდომარე.** ნუ ყვირიხართ.

**ვ.რჩეულიშვილი.** ჩართეთ, კაცო. მიმდინარეობს...

**თავმჯდომარე.** მიმდინარეობს კენჭისყრა. (საშინელი ყვირილი დარბაზში). წესიერად მოიქეცით. (ცხარე კამათი დარბაზში. ხმა — დამისაბუთეთ რომ 2/3-დით არ უნდა მივიღოთ). არც ერთი რატიფიკაცია ჩვენ არ გაგვიკეთებია 2/3-დით.

*ხმა დარბაზიდან.* როგორც გინდოდათ, ხალხი დაიშლება.

**თავმჯდომარე.** არ დაიშლება. ვაფრთხილებ ყველა დეპუტატს, არავინ არ წავიდეს. ღმერთმა დაგვიფაროს ისეთი მომხრე, რომ იმის ეშინოდეს, რა ჰქვია... (ხმა დარბაზიდან).

**ვ.რჩეულიშვილი.** დათო, დავითვალოთ სათითაოდ.

*ხმა დარბაზიდან.* გააჩერეთ კენჭისყრა.

**ვ.რჩეულიშვილი.** არ გავაჩერებ. (ცხარე კამათი დარბაზში). არ გამორთოთ არაფერი. თუკი ეჭვი გეპარებათ, სიას წავიკითხავთ.

*(ხმა დარბაზიდან).*

**თავმჯდომარე.** 2/3-ით არასდროს არ ყოფილა რატიფიკაცია და ტყუილად ნუ იგონებთ ველოსიპედს.

**ვ.რჩეულიშვილი.** რატიფიკაცია არც ერთი არ ყოფილა 2/3-ით.

*(ხმაური დარბაზში).*

*ხმა დარბაზიდან.* ვერ მოვასწარით.

**ვ.რჩეულიშვილი.** რა ვქნათ, რომ ვერ მოასწარით.

**თავმჯდომარე.** რატიფიკაცია მიღებულია.

*(ყვირილი დარბაზში).*

**თავმჯდომარე.** ნუ ყვირიხართ.

*(დარბაზში ცხარე კამათი).*

**ვ.რჩეულიშვილი.** სია ამობეჭდეთ.

**თავმჯდომარე.** ბატონებო, ბატონ ედუარდს გამორჩა და არ მიუცია ხმა, სახელობითი რადგან არის, მივუმატოთ.

**ვ.რჩეულიშვილი.** მიუმატეთ.

*(ყვირილი დარბაზში).*



*ხმა დარბაზიდან.* არ მიგვიღია ჩვენ.

**ვ.რჩეულიშვილი.** თუ გნებავთ, რომ წავიკითხოთ სიები, გვაცალეთ, თუ არა და დავიშლებით.

*(ყვირილი დარბაზში).*

**თავმჯდომარე.** თქვენ ხომ ყველამ კარგად იცით, რომ ყველა აქ არის, ნუ, მოიცათ კაცო,...

**რ.ბერიძე.** სიას მე წავიკითხავ.

**ვ.რჩეულიშვილი.** რატომ, არ გვენდობით, ქალბატონო რუსუდან?

**თავმჯდომარე.** ქალბატონი რუსუდანი წაიკითხავს. არ გავიდეს არავინ.

**ვ.რჩეულიშვილი.** რაშია საქმე, კაცო.

**თავმჯდომარე.** მართლა ბანდიტები არიან.

**ვ.რჩეულიშვილი.** რაშია საქმე, რა, ჩხუბზე გადავიდეთ, კაცო?

**თავმჯდომარე.** აბა, ჭკუით იყავით ცოტა. რა მოგივიდათ, რატომ დაკარგეთ ყველაფერი.

**რ.ბერიძე.** ბატონებო, ძალიან გთხოვთ...

**ვ.რჩეულიშვილი.** დებოშს მორჩით.

**რ.ბერიძე.** ბატონებო დაბრძანდით, წავიკითხოთ სია.

*(ხმა დარბაზიდან).*

**ვ.რჩეულიშვილი.** ჩემი აზრით, შენნაირი დებილი საერთოდ არ უნდა შემოვიდეს პარლამენტში.

**თავმჯდომარე.** მოიცათ, არ გინდათ. მოიცათ, რა.

**რ.ბერიძე.** ბატონებო, პირველ რიგში მოწვეულ სტუმრებს ვთხოვ დასხდეთ ადგილებზე, დაბრძანდით და შევამოწმოთ სიის მიხედვით, ვინც ხმა მისცა, არის თუ არა ადგილზე. ძალიან გთხოვთ ამოვიკითხოთ სია და ვის გვარსაც ამოვიკითხავ, გთხოვთ დაადასტუროთ თქვენი აქ ყოფნა. გთხოვთ სიჩუმეს.

ვკითხულობ სიას, „სნგ"-ში შესვლის მომხრეებისას, გთხოვთ ყურადღებას.

**აბალაკი გივი**
**აბესაძე ინგუშა**
**ადამია რევაზი**
**ადამია ჯემალი**
**ალექსანიანი ფერდინანდი**
**ამირეჯიბი მზეჭაბუკ**
**ბერიანიძე შალვა**
**ბერიძე ჯემალი**
**ბრეგაძე აკაკი**
**გაზდელიანი თენგიზი**
**გამყრელიძე თამაზი**
**გაჩეჩილაძე გიორგი**
**ანდრიაძე ირაკლი**
**არველაძე ტახირ**
**ასათიანი ვალერიანი**
**ახმეტელი გიორგი**
**აჯიაშვილი სიმონი**
**ბალაშვილი ვლადიმერი**
**ბარამიძე გიორგი**
**ბაშალეიშვილი დავითი**
**ბახტაძე დემური**
**ენუქიძე ზაზა**
**ველიჯანაშვილი გოდერძი**
**ზუგბაია ოთარი**
**თირქია ლედი**
**თუმანიშვილი გრიგოლი**
**იაკობიძე ვაჟა**
**იორამაშვილი გივი**
**კალანდაძე თენგიზი**
**კალანდია გენო**
**კალაძე რობიზონი**
**კეკელია შალვა**
**კვარაცხელია ვალერი**
**კიკნაძე გიორგი**
**კირთაძე ნესტან**
**კობაიძე ალექსი**
**კობერიძე ნუგზარი**
**კოპალეიშვილი თეიმურაზი**
**კოხია ოთარი**
**კოხრეიძე ნოდარი**
**კურტანიძე ჯუმბერი**
**ლითანიშვილი ოთარი**
**ოთარაშვილი ვაჟა**
**ორჯონიკიძე იზა**
**პაიჭაძე დავითი**
**პატიაშვილი ჯუმბერი**
**ქვანია ზურაბი**
**ჟორჟოლიანი გია**
**რივკინი მარკი**
**რუხაძე სერგო**
**გელაძე ავთანდილი**
**გელაძე ვაჟა**
**გეწაძე გურამი**
**გვერდწითელი მიხეილი**
**გიგინეიშვილი მანანა**
**გოგუაძე ვახტანგი**
**დევდარიანი ნანა**
**დოლმაზაშვილი ავთანდილი**
**ელოშვილი ომარი**
**ლობჟანიძე გივი**
**ლომინაძე გივი**
**ლომსაძე ბორისი**

გაგრძელება მე-8 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**როგორ შეგვათრიეს «ესენგეში»?!**

# საქართველოს პარლამენტის 1994 წლის 1 მარტის სხდომის ოქმი

## საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე სამარცხვინო დოკუმენტი

მე-7 გვერდიდან

ლორთქიფანიძე გიგა
ლორთქიფანიძე ვიქტორი
ლორთქიფანიძე როზა
მამალაძე ლევანი
მამრაძე პეტრე
მამულია გურამი
მანძულაშვილი მიხეილი
მარშანია ადა
მახალდიანი სოსო
გელაშვილი თეიმურაზი
მეგუთნიშვილი სოსო
მიმინოშვილი რომანი
მუსელიანი ვახტანგი
მუჩაიძე გურამი
მჭედლიძე მიხეილი
ნადარაია ნუგზარი
ნათელაშვილი შალვა
ნაკაშიძე ბადრი
რჩეულიშვილი ვახტანგი
სნხჩიანი ჟორა
უსტიაშვილი გურამი
ფენდერავა არჩილი
ქარციევაძე ნოდარი

(*ხმა დარბაზიდან:* ნელა წაიკითხეთ).

თავმჯდომარე. აქ არის ყველა, კაცო.

რ.ბერიძე. ქაშაკაშვილი ამირანი
ქველაძე ზურაბი
ქვლივიძე გელა
ღარიბაშვილი ქართლოსი
ღოღობერიძე ლანა
ყოლბაია ვახტანგი
შაიშმელაშვილი გიორგი
შაკიაშვილი ლუიზა — ნამდვილად ხმას არ მისცემდა...

ლ.შაკიაშვილი. მაგ სიაში ვარ მეე?!

რ.ბერიძე. დიახ.

*(ხმაური).*

თავმჯდომარე. არ არის ეგ პრობლემა.

რ.ბერიძე. შენგელაია ელდარ.

ვ.რჩეულიშვილი. ე.ი. არასწორად დააჭირე შენ თვითონ პულტს ხელი. რათ გინდა ეს.

თავმჯდომარე. ამოღებული იქნეს სიიდან. არ არის ეს პრობლემა.

რ.ბერიძე. შენგელაია ელდარი
ჩარკვიანი ჯანსუღი
კობერიძე ნუგზარი
სად არის ბატონი ნუგზარ კობერიძე?

ვ.რჩეულიშვილი. კარგით.

რ.ბერიძე. ნუგზარ კობერიძე სად ბრძანდება?

ვ.რჩეულიშვილი. კარგით. ნუ, ალვნიშნოთ, ნუგზარ კობერიძე არ ბრძანდება, მერე.

რ.ბერიძე. სად არის ნუგზარ კობერიძე?

ვ.რჩეულიშვილი. არ არის ნუგზარ კობერიძე, ალნიშნეთ მერე, კაცო.

რ.ბერიძე. ქალბატონი ადა მარშანია სად არის?

ვ.რჩეულიშვილი. ჩავიკითხოთ ბოლომდე, ბოლომდე.

(ხმაური დარბაზში).

თავმჯდომარე. ქალბატონ ლუიზა შაკიაშვილზე გასწორდა, ეს მექანიკური შეცდომა არის და გადაყვანილია წინააღმდეგში.

რ.ბერიძე. ბატონებო, დარბაზში არ არიან ადა მარშანია და ნუგზარ კობერიძე. არიან? კობერიძე სად არის?

ლ.შაკიაშვილი. როგორ მოვხვდი მაგ სიაში?

თავმჯდომარე. მე არ ვიცი.

ვ.რჩეულიშვილი. ყველა ხომ აქ არის, რა გინდა.

თავმჯდომარე. რათ გინდათ ამ მექანიკურ რალაცაზე, რა, ჩვენ შევიტანდით, თუ რა?

*(კამათი დარბაზში).*

ვ.რჩეულიშვილი. თქვენ თუ გაინტერესებთ, გავაგრძელებთ. აი, გამორჩენილი არის სიიდან ბატონი როსტომ დოლიძე.

თავმჯდომარე. მე-3 მიკროფონი.

*ხმა დარბაზიდან.* დღევანდელი გადაწყვეტილება უკანონოა. უკანონოა, ამას სჭირდებოდა 2/3, ფალსიფიცირებულია კენჭისყრა, ამას გარდა შეიძლება გარშემორტყმულია ავტომატიანი ხელხით.

თავმჯდომარე. კი, კაცო.

*ხმა დარბაზიდან.* შიგნით უშიშროების და მილიციის ხალხია. ამიტომ ეს კენჭისყრა არის უკანონო, უკანონო. (დარბაზში სტვენაა).

ვ.რჩეულიშვილი. სხდომა თქვენ სახალხო ფრონტის დარბაზში არ გეგონოთ. სახალხო ფრონტში ილაპარაკეთ ეგრე.

თავმჯდომარე. სხდომა დამთავრებულია.

ვ.რჩეულიშვილი. როსტომ დოლიძე დააფიქსირეთ.

რ.დოლიძე. ხომ მივეცი დადებითი და არა ვარ სიაში.

ვ.რჩეულიშვილი. როსტომ დოლიძე დაემატოს და შაკიაშვილი გამოაკლდეს.

*ხმა დარბაზიდან.* აფერისტებო.

რ.ბერიძე. ბატონებო, წავიკითხოთ ბოლომდე სია, მომხრეების და მოწინააღმდეგეების. გთხოვთ ყურადღებას.

ჩარქსელიანი ანზორი
ჩიტლოვი დიმიტრი
ჩხენკელი მიხეილი
ციციშვილი ჯიმშერი
ციხელაშვილი ტარიელი
ციხისთავი გია
წერეთელი ზურაბი
ჭელიძე ივერი
ხარატიშვილი იოსები
ხაჭაპურიძე ვაჟა



ცივაძე დავითი
ცინდელიანი ლია
ცინცაძე თამაზი
წითლანაძე გიორგი
წიკლაური მევლუდი
წოწონავა ანზორი
ჭეიშვილი რევაზი
ხვედელიძე გივი
ხიზანიშვილი რამაზი
ხუციშვილი ომარი
ჯაფარიძე რევაზი
ჯიბლაძე ალექსანდრე
ჯეირანაშვილი ნიაზი

რ.დოლიძე. მიამატეთ როსტომ დოლიძე.

თავმჯდომარე. როსტომ დოლიძე გამორჩენილია.

რ.ბერიძე. როსტომ დოლიძე ემატება. მოწინააღმდეგეთა სია.

ვ.რჩეულიშვილი. არ გვაინტერესებს.

ე.შევარდნაძე. ქალბატონო რუსუდან...

რ.ბერიძე. ადამია ვაჟა
ასათიანი აკაკი...

ე.შევარდნაძე. გააჩერეთ ერთი წუთით. ერთი წუთით. იქონიეთ მხედველობაში, უნდა დაემატოს დოლიძე და შევარდნაძე. გამორჩენილია ორი კაცი.

რ.ბერიძე. კი, ბატონო.

ვ.რჩეულიშვილი. რამდენი გამოდის, ქალბატონო რუსუდან, სულ?

ე.შევარდნაძე. 3 კაცია გამოტოვებული დოლიძე, შევარდნაძე და...

რ.ბერიძე. 124 კაცია სულ.

ვ.რჩეულიშვილი. 124 მომხრეა.

რ.ბერიძე. მოწინააღმდეგეების სია რადიოთი გადაიცემა, გთხოვთ ყურადღებას.

ადამია ვაჟა
ასათიანი აკაკი
კობახიძე გიორგი
კოვზირიძე დავითი
ბასილია თეიმურაზი
ბერიძე რუსუდანი
ბობოხიძე აკაკი
ბუზალაძე ვასილი
უგულავა ალექსანდრე
დვალიშვილი მალხაზი
დიასამიძე თამაზი
დიხამინჯია თენგიზი
კახაძე კახაბერი
კიკაბიძე კობა
პაატაშვილი თედო
ჟორჟოლიანი თეიმურაზი
ჟორჟოლიანი თეიმურაზი (მეორე)
როგავა გაიოზი
სარიშვილი ირინა
საყვარელიძე ფრიდონი
ურიდია მერაბი
ფაღავა ასლანი
ფაჩუაშვილი ბესარიონი
ფაცაცია გერმანე
ყორანაშვილი გურამი
მელია გურამი
შენგელაია ირაკლი
შენგელაია ზურაბი
ჩხეიძე თამარი
ჩხეიძე პაატა
ცუცხვაშვილი გია
ძაბირაძე ვახტანგი
ძაგნიძე შოთა
წულაია გიორგი
ხავთასი გია
ხმალაძე ვახტანგი
ხურციძე ბეჟანი
სუმბათაშვილი თემური
წერეთელი ირაკლი
ხომერიკი ვასილი
ასათიანი ვახტანგი
ვეფხვაძე ნოდარი
გონაშვილი
კორძაძე გაიოზი
კოლუაშვილი პაატა
კუპრავა რაული
კუპრეიშვილი დავითი
მელაშვილი ირაკლი
მესხი ლევანი
ნათაძე ნოდარი
ნანეიშვილი მიხეილი
ნიკოლაიშვილი გელა
ობგაძე თამაზი
ჩახვაძე გურამი
ბერძენიშვილი დათო
ნადარაია ამირან
ქადაგიძე დათო
შაკიაშვილი ლუიზა
მეტრეველი მერაბი
ხაინდრავა ივლიანე
ხიდაშელი გიორგი
ანდრიაძე ზურაბი
სიგუა თენგიზი.

ვ. რჩეულიშვილი. სუმბათაშვილი აქ არ არის, მაგრამ ხმა მისცა.

რ. ბერიძე. ბერიძე კოტე.

თავი შეიკავეს: ბარამიძე მალხაზი, გვაზავა ელგუჯა, იოსელიანი არჩილი, ჯიქია ალექსანდრე.

ლოლაძე ანდრო მოწინააღმდეგეებში არ არის და ემატება. გთხოვთ, ყველამ ჩამაწერინოთ, ვინც არ იყავით სიაში.

ვ. რჩეულიშვილი. ქალბატონო რუსუდან, სუმბათაშვილი არ არის და ვერ ჩათვლით წინააღმდეგობაში და, საერთოდ, ვინც არ მიიღო მონაწილეობა, ნუ უმატებთ ნურც ერთ სიაში. რაც შეეხება ხუთშაბათის სხდომას, მოგახსენებთ ოფიციალურად არის დედის დღე, ოფიციალურად დასვენების დღეა ე.ი. დავისვენოთ შემდეგ სამშაბათამდე. სხდომა შედგება შემდეგ სამშაბათს. დასწრება აუცილებელია, როგორც დღეს.

*(ხმაური დარბაზში)*

**ექსპრეს-აუდიტ სერვისი**

ლიცენზია №87;

გთავაზობთ აუდიტორულ მომსახურეობას ზოგად აუდიტში

1. საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის აუდიტორული შემოწმება;
2. საკონსულტაციო მომსახურეობა და რეკომენდაციები;
3. ქონების შეფასება-გადაფასება;
4. ბუღალტრული მომსახურეობა;

თბილისი, თავისუფლების მოედანი,
პუშკინის ქ. №5, მე-2 სართ. ტელ.: 93-15-89

თარჯიმანთა ბიურო გთავაზობთ მომსახურებას. გითარგმნით ნებისმიერი სახის ტექსტს ნებისმიერ ენაზე სწრაფად, იაფად და ხარისხიანად, ნოტარიული მომსახურებით.
ტ. 93-19-99; 93-52-55
მისამართი: პუშკინის ქ. №5, II სართული



ტურისტული სააგენტო „ნიკა" გთავაზობთ ვიზების გაფორმებას რუსეთის, ჩეხეთის, პოლონეთისა და შენგენის ყველა ქვეყანაში, აგრეთვე ინგლისში შეღავათიან ფასებში, მყარი გარანტიით.
ტ. 93-42-55; 8(99) 17-54-02 კახა; 8(93) 34-23-26 გია
მისამართი: პუშკინის ქ. №5 ოთახი 208

მთავარი რედაქტორი
მანანა ლობჯანიძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი. თავისუფლების მოედანი. პუშკინის ქ. №5
გაზეთის ინდექსი 66447

შპს გაზეთი „საქართველო"
რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს მიერ №06/4-444
ტელ: 93-20-36

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით.
გამოქვეყნებულ მასალებზე პასუხს ავტორი აგებს.